1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
2 რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
3 როგორი დამოკიდებულება გვაქვს ადამიანის უფლებების მიმართ?
4 თქვენი ქვეყანა და ადამიანის უფლებები
5 ადამიანის უფლებები და თქვენი კლასი ან თქვენი სკოლა
6 ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული როლების გათამაშება
7 შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან
8 თქვენი მომავალი, სამსახური და ადამიანის უფლებები
9 ადამიანის უფლებები ეკრანზე
10 მუშაობა ადამიანის უფლებების სფეროში

„ადამიანის უფლებები შენი და ჩემი უფლებებია“ - ეს არის ერთ-ერთი ლოზუნგი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდნის დამკვიდრებას. იმისათვის, რომ ლოზუნგი რეალობად იქცეს, საჭიროა მუდმივი მუშაობა, დაუძინებელი ყურადღება და ყველა ადამიანის მიერ იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები. ამ საკითხში არსებითი როლის შესრულება შეუძლიათ მასწავლებლებს, რომლებიც, მოზარდებთან ურთიერთობის წყალობით, ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას.

ეს გამოცემა, რომელიც **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 50-ე წლისთავს ეძღვნება**, ემთხვევა, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული „ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ათწლეულის“ შუა პერიოდს. სასნავლო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას, ადამიანის უფლებები ნებისმიერი საგნის გაკვეთილზე ისწავლებოდეს — დაწყებული საზოგადოებათმცოდნეობით, დამთავრებული ისტორიითა და მათემატიკით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიკური მომზადებით. ამ გამოცემის მიზანია, დაისახოს ამოსავალი წერტილები აღნიშნულ მესაძლებლობათა გამოყენებისთვის.

დაგეიკავშირდით:
Infopoint
Council of Europe,
F-67075 Strasbourg Cedex
ტელ.: +33 (0) 3 88 41 20 33
ფაქსი: +33 (0) 3 88 41 27 45
ელ. ფოსტა: infopoint@coe.int
ვებგვერდი: http://www.coe.int
ვებგვერდი:
http://www.coe.int/T/E/Human_rights

ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში
ერეკლე II-ს შეს. No. 7, თბილისი, 0105
ტელ.: 988977; 989560
ფაქსი: 989657
ელ. ფოსტა: information.office@coe.ge
ვებგვერდი: http://www.coe.ge

ევროპის საბჭოს კომუნიკაციისა და ინფორმაციის განყოფილებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების გამოცემა.

ავტორი: მარკ ტეილორი, თავისუფალი კონსულტანტი და მასწავლებელი
კოორდინაცია: საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი
დიზაინი: "The Big Family". ტელ.: +33 (0) 3 88 411 333
ფოტოები: ევროპის საბჭო და "The Big Family"
ხელმეორედ გამოიცა ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს მიერ 2005 წლის დეკემბერში.

ამ სახელმძღვანელოში შეტანილი მასალა ავტორის მიერ არის შერჩეული.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ამოსავალი წერტილები დამამარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

The European convention on human rights (ECHR)
starting points for teachers

ს წინასიტყვაობა
ბ რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
გ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პრაქტიკაში
დ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „შთამომავლები“
ე უფლება, მეტი ვიცოდეთ!

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების გარკვეული მუხლების ადაპტირებული ტექსტი

სავარჯიშოები

გაითვალისწინეთ, რომ ეს ადაპტირებული ტექსტი მოცემულია მხოლოდ სასწავლო მიზნით და ემყარება „ამნესტი ინთერნეშნელისა“ და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ადაპტირებულ ტექსტს. იურიდიული ძალა მხოლოდ იმ ტექსტებს აქვს, რომლებიც შედის ოფიციალურად გამოქვეყნებულ „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის თაობაზე კონვენციასა“ და მის ოქმებში. დაწვრილებითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სად შეგიძლიათ მოიძიოთ სრული ტექსტი, იხილეთ გვერდ ე-ზე.

პრეამბულის მოკლე შინაარსი:

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მთავრობები ისწრაფვიან ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე დაფუძნებული მშვიდობისა და უფრო მტკიცე კავშირების დამყარებისაკენ.
ამ კონვენციის მიღება პირველი ნაბიჯია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განსაზღვრული რიგი უფლებების აღსრულების საქმეში.

მუხლი 1 - ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება
სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ადამიანმა სცეს პატივი კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებს.

მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს სიცოცხლის უფლება.

მუხლი 3 - წამების აკრძალვა
არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, რაიმე გატკინოთ ან გაწამოთ. თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც კი აუცილებელია ადამიანის ღირსების პატივისცემა.

მუხლი 4 - მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა
არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, მოგეპყროთ როგორც მონას ან გაიძულოთ მუშაობა.

მუხლი 5 - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს თავისუფლების უფლება.
თუ დაგაპატიმრებენ, გაქვთ უფლება, იცოდეთ, რისთვის გაპატიმრებენ.
თუ დაგაპატიმრებენ, გაქვთ უფლება, თქვენი საქმე სწრაფად იქნეს განხილული ანდა საქმის განხილვამდე გაგათავისუფლონ.

მუხლი 6 - სამართლიანი სასამართლოს უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, მისი საქმე სამართლიანად იქნეს განხილული მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ. თუ დანაშაულის ჩადენაში გედებათ ბრალი, დანაშაულის დამტკიცებამდე თქვენ უდანაშაულოდ ითვლებით. ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, დახმარება გაუწიოს იურისტმა, რომლის ჰონორარიც, თუკი თქვენ ღარიბი ხართ, სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს.

მუხლი 7 - არავითარი სასჯელი კანონის გარეშე
ვერავინ დაგდებთ მსჯავრს ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლის წინააღმდეგაც ჩადენის მომენტისათვის არ არსებობდა კანონი.

მუხლი 8 - პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, პატივისცემით მოეპყრონ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და კორესპონდენციას.

მუხლი 9 - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება შეხედულების, სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლებაზე. შეგიძლიათ საკუთარი სარწმუნოება საჯაროდ აღიაროთ და, თუ სურვილი გექნათ, შეიცვალოთ აღმსარებლობა.

მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, თქვას და დაწეროს, რასაც ფიქრობს, და გაავრცელოს და მიიღოს ინფორმაცია სხვებისაგან. იგულისხმება პრესის თავისუფლებაც.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მუხლი 11 - შეკრების და გაერთიანების თავისუფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიან შეკრებებში და დააარსოს საკუთარი გაერთიანება ან მიუერთდეს რაიმე გაერთიანებას, მათ შორის, პროფესიულ კავშირს.

მუხლი 12 - ქორწინების უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, დაქორწინდეს და ჰქონდეს ოჯახი.

მუხლი 13 - უფლება ეფექტურ ზომაზე
თუ თქვენი უფლებები დაირღვა, შეგიძლიათ ოფიციალურად იჩივლოთ ამის თაობაზე სასამართლოებში ან სხვა სახელმწიფო უწყებაში.

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა
ადამიანის უფლებები ყოველ თქვენგანს აქვს, მიუხედავად თქვენი კანის ფერის, სქესის, ენის, პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ან წარმომავლობისა.

მუხლი 15 - გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს
ომის ან სახელმწიფოში არსებული სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობას შეუძლია გაატაროს ისეთი ზომები, რომლებიც ეწინააღმდეგება თქვენს უფლებებს, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ სრულიად აუცილებელ შემთხვევებში. და მაშინაც კი მთავრობებს არა აქვთ უფლება, გაწამონ ან თვითნებურად წაგართვან სიცოცხლე.

მუხლი 16 - უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა
მთავრობებს შეუძლიათ შეზღუდონ უცხოელთა პოლიტიკური მოღვაწეობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ეწინააღმდეგება მე-10, მე-11 ან მე-14 მუხლებს.

მუხლი 17 - უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა
დაუშვებელია კონვენციის რომელიმე დებულების იმგვარად გამოყენება, რომ დაზარალდეს კონვენციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 18 - უფლებათა შეზღუდვით სარგებლობის ლიმიტირება
შესაძლებელია კონვენციაში განსაზღვრულ უფლებათა უმეტესობის შეზღუდვა ზოგადი კანონმდებლობით, რომელიც ყველა ადამიანს ეხება. ამგვარი შეზღუდვები დასაშვებია, თუ ისინი სრულიად აუცილებელია.

მუხლი 19-51
ამ მუხლებში განმარტებულია, თუ როგორ მუშაობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 34 - ინდივიდუალური განაცხადები
თუ კონვენციაში განსაზღვრული თქვენი უფლება დაირღვა ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, პირველ რიგში უნდა მიმართოთ ყველა უფლებამოსილ ეროვნულ ორგანოს. თუ ეს უწყებები არაფრით დაგეხმარნენ, შეგიძლიათ საჩივარი წარუდგინოთ უშუალოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში.

მუხლი 52 - გენერალური მდივნის მოთხოვნები
თუ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მოითხოვს, წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა განუმარტოს მას, როგორ იცავს მისი ქვეყნის კანონმდებლობა კონვენციაში განსაზღვრულ თქვენს უფლებებს.

No.1 ოქმის მუხლი 1 - ქონების დაცვა
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, ფლობდეს საკუთრებას და ისარგებლოს თავისი საკუთრებით.

No.1 ოქმის მუხლი 2 - განათლების უფლება
ყოველ თქვენგანს აქვს უფლება, იაროს სკოლაში.

No.1 ოქმის მუხლი 3 - თავისუფალი არჩევნების უფლება
თქვენ გაქვთ უფლება, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება საიდუმლო კენჭისყრით აირჩიოთ.

No.4 ოქმის მუხლი 2 - გადაადგილების თავისუფლება
თუ ქვეყანაში კანონიერ საფუძველზე იმყოფებით, თქვენ გაქვთ უფლება, ქვეყნის ფარგლებში სადაც გინდათ, იქ წახვიდეთ და იცხოვროთ.

No.6 ოქმის მუხლი 1 - სიკვდილით დასჯის გაუქმება
სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გამოგიტანოთ სიკვდილით დასჯის განაჩენი ან აღასრულოს ეს განაჩენი.

No.7 ოქმის მუხლი 2 - სისხლის სამართლის საქმეებზე აპელაციის უფლება
თუ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ გცნეს, შეგიძლიათ მიმართოთ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს.

No.7 ოქმის მუხლი 3 - კომპენსაცია უსამართლო მსჯავრდებისათვის
თუ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ გცნეს, შემდეგ კი გაირკვა, რომ უდანაშაულო იყავით, თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ კომპენსაცია.

No.12 ოქმის მუხლი 1 - დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა
დაუშვებელია თქვენი დისკრიმინაცია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მაგალითად, თქვენი კანის ფერის, სქესის, ენის, პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ან წარმომავლობის გამო. [მიაქციეთ ყურადღება: წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოცემის დროისათვის ეს ოქმი არ იყო ამოქმედებული]

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

2 რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

სავარჯიშოები

ორი სავარჯიშო, რომელთა მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
ძირითადი იდეების შესახებ ერთმანეთისთვის აზრთა გაზიარებაში და კონვენციის გაცნობაში.

წარმოსახული ქვეყანა

ამ კომპლექსური სავარჯიშოს მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს იდეა იმის თაობაზე, რომ ადამიანის უფლებები ხშირად საჭიროებებს ეფუძნება. დაყავით კლასი ხუთ ან ექვსკაციან ჯგუფებად და წაუკითხეთ შემდეგი სცენარი:

„წარმოიდგინეთ, რომ აღმოაჩინეთ ახალი ქვეყანა, სადაც თქვენამდე არავის უცხოვრია და არც რაიმე კანონები და წესები ყოფილა. თქვენ და თქვენი ჯგუფის სხვა წევრები ამ ახალი ქვეყნის მკვიდრნი იქნებით. უცნობია ამ ქვეყანაში თქვენი სოციალური მდგომარეობა.“

თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად უნდა ჩამოწეროს სამი უფლება, რომელიც, მისი აზრით, უნდა მიენიჭოს ამ ახალი ქვეყნის თითოეულ მკვიდრს.

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ ერთმანეთს და განიხილონ თავ-თავიანთ ჯგუფებში საკუთარი სიები, შემდეგ კი შეთანხმდნენ 10 უფლებაზე, რომლებიც მათ ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ სახელი ახალი ქვეყნისათვის და დაწერონ დიდ ფურცელზე უფლებების თავიანთ ჩამონათვალთან ერთად.

თითოეული ჯგუფი წარუდგენს თავ-თავის ჩამონათვალს მთელ კლასს. ამ დროს კლასის საერთო ფურცელზე ჩაიწერეთ თითოეული უფლება; მონიშნეთ ის უფლება, რომელიც გამეორდება.

როდესაც ყველა ჯგუფი დაამთავრებს ჩამონათვალის წარდგენას, სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ უფლებები, რომლებიც მეორდება ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

- შესაძლებელია თუ არა ჩამონათვალის დახვეწა?
- შესაძლებელია თუ არა ერთმანეთის მსგავსი ზოგიერთი უფლების დაჯგუფება?
- რამდენად ახლოს არის ეს ჩამონათვალი რეალურ ცხოვრებასთან?

შემდეგ მოსწავლეებს შეგიძლიათ დაუსვათ კითხვები, რომლებიც შეეხება ქვემოთ ჩამოთვლილ თემებს:

- ხომ არ შეიცვალა სავარჯიშოს მსვლელობისას თქვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი უფლებაა ყველაზე მნიშვნელოვანი?
- ხომ არ დაუმატებდით ჩამონათვალს რომელიმე ახალ უფლებას?
- არის თუ არა ადამიანის უფლებები საყოველთაო?
- რა ისწავლეთ ამ სავარჯიშოს შედეგად?

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოსთვის სავარჯიშოების შედგენისას შეგნებულად შემოგთავაზეთ სხვადასხვა მეთოდი — ზოგიერთი სავარჯიშოს შემთხვევაში ეს არის ძირითადი იდეები და საჭიროა ამ იდეების შემდგომი განვითარება, სხვა შემთხვევებში აუცილებელია უფრო კონკრეტული მითითებები რესურსებსა და თავად პროცესთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თითოეული სავარჯიშო განსაკუთრებით სასარგებლო მაშინ იქნება, თუ მიუსადაგებთ თქვენი სკოლის მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის პირობებსა და წევრებს, მათ, ვისთანაც მუშაობა გიწევთ. თუ სავარჯიშო სხვა გამოცემებიდან არის გადმოღებული, მითითებულია წყარო.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

2 რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

ორი შესაძლო ვარიანტი სავარჯიშოს გასაგრძელებლად

უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ვალდებულებებთან. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავ-თავიანთი ჯგუფების ფარგლებში შეადგინონ იმ ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომლებიც მიესადაგება მათ მიერ მოფიქრებულ უფლებებს. მაგალითად, სიცოცხლის უფლება გვაკისრებს ვალდებულებას, პატივი ვცეთ სხვა ადამიანთა სიცოცხლეს.

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ჯგუფებში და შეადარონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადაპტირებული ტექსტის (1) მუხლები კლასის ერთობლივ ჩამონათვალს.

წყარო: გადმოღებულია „ემნესთი ინთერნეშნელის“ „პირველი ნაბიჯებიდან“ *(First steps)* (ე).



ფასეულობებისა და ადამიანის უფლებების კიბე

სავარჯიშოს მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შინაარსზე მუშაობა, კონვენციაში განსაზღვრული უფლებების განუყოფელ ხასიათზე საუბარი და მათი მნიშვნელობის თაობაზე სხვადასხვა შეხედულების განხილვა.

საჭირო მასალა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადაპტირებული ტექსტის (1) ინდივიდუალური ვარიანტები თითოეული მოსწავლისათვის, მაკრატელი, ქინძისთავები ან წებოვანი ლენტი, კონვერტები, დიდი ფურცლები, წებო, სახატავი მოწყობილობები. როდესაც მოსწავლეები გაეცნობიან კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებებს, საინტერესო იქნება, მისცეთ მათ შესაძლებლობა, „ისარგებლონ“ ამ უფლებებით და, რაც მთავარია, გაუზიარონ ერთმანეთს თავ-თავიანთი შეხედულებები ამ უფლებებზე.

1) მონაწილეები სათითაოდ შეარჩევენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ექვს უფლებას, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საკუთარი თავისთვის ამ კონკრეტულ მომენტში.

2) ისინი ამოჭრიან ამ ექვს უფლებას. დარჩენილი უფლებები, რომლებიც მათ არ შეარჩიეს, უნდა ჩაიდოს კონვერტში შემდგომი გამოყენების მიზნით.

3) შემდეგ მონაწილეები დააწყობენ შერჩეულ ექვს უფლებას დაღმავალი რიგით იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამენ მათ მნიშვნელობას.

4) ქინძისთავების მეშვეობით მოსწავლეები დიდ ფურცელზე კიბის სახით დაალაგებენ უფლებებს.

5) მონაწილეები დაჯგუფდებიან ორ ან ოთხკაციან ჯგუფებად და ერთმანეთს წარუდგენენ თავ-თავიანთ კიბეებს და იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ასეთი კიბე გამოუვიდათ.

6) შემდეგ მონაწილეები განაგრძობენ ინდივიდუალურ მუშაობას თავ-თავიანთ კიბეებზე. ჯგუფური დისკუსიის შემდეგ მათ შეუძლიათ გადააკეთონ კიბის შედგენის რიგი, დაუმატონ ახალი უფლებები კონვერტიდან, ანდა სულაც არაფერი შეცვალონ.

7) შემდეგ ყოველი მოსწავლე საბოლოოდ მიამაგრებს თავის კიბეს ფურცელზე და მიუწერს თარიღს.

8) გაერთიანებულ მონაწილეებს შეუძლიათ შექმნან კედლის პლაკატი ან რაიმე სხვა ფორმით მოახდინონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მთელი კლასის შეხედულების ილუსტრირება. მონაწილეებმა უნდა შეინახონ კონვერტები, რომლებშიც გამოუყენებელი უფლებები უდევთ.

ეს სავარჯიშო ევროპის სოციალურ ქარტიაში განსაზღვრულ უფლებებთან დაკავშირებითაც შეიძლება ჩატარდეს (დ).
საინტერესოა სავარჯიშოს შედარებით გვიანდელ ეტაპზე გამეორება და ძველი და ახალი კიბეების შედარება. ეს გაჩვენებთ, რამდენად გვაიძულებს გარემო პირობები, უპირატესობა მივანიჭოთ ამა თუ იმ უფლებას, გაჩვენებთ, ასევე, რამდენად მნიშვნელოვანია ყველა მათგანი.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

წყარო: „დამხმარე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესასწავლად“ (ე)
(Teaching Guide to the European Convention on Human Rights)

3 როგორი დამოკიდებულება გვაქვს ადამიანის უფლებების მიმართ?

დისკუსია, რომლის დანიშნულებაა, დააფიქროს ადამიანები სხვადასხვა საკითხზე

საჭირო საშუალებები:
ოთახი, რომელშიც 15 მოსწავლე დაიყოფა მომცრო ჯგუფებად.
სადემონსტრაციო დაფა რამდენიმე ფურცლით. თითოეულ ფურცელზე იწერება ერთი გამონათქვამი. ოთახის მოპირდაპირე კედლებზე გამოკრული ნიშნები „ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“.

ჯგუფის მოცულობა:
სულ მცირე, 5 (ყველაზე მეტი, 15) მოსწავლე. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეგზღუდოთ, არის ჯგუფის წამყვანი მონაწილეების რაოდენობა და ფართობი.

დრო:
სულ სავარჯიშოს დასჭირდება 30-დან 60 წუთამდე დრო. ეს დამოკიდებულია იმ გამონათქვამების რაოდენობაზე, რომელთა გარშემოც მიმდინარეობს დისკუსია. ჩვეულებრივ, არ კეთდება სხვადასხვა დისკუსიასთან დაკავშირებული დასკვნა. თითოეულ გამონათქვამზე დისკუსია დაახლოებით 5-10 წუთი წარიმართება.

სავარჯიშოს მიმდინარეობა:

მოამზადეთ გამონათქვამები (დაახლოებით 5-10) იმ თემის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, რომელზეც გინდათ დააფიქროთ მოსწავლეები. გამონათქვამი ყველასათვის გასაგები სიტყვებით უნდა იყოს შედგენილი და, განსახილველი საკითხის რომელიმე არსებითი ასპექტის წამოჭრით, უნდა იწვევდეს მოსწავლეებს, დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ მას.

თითოეული მომცრო ჯგუფისთვის მოამზადეთ სადემონსტრაციო დაფები თავისი გამონათქვამებით, თითო გამონათქვამი თითო დაფაზე, ისე, რომ მონაწილეებმა თითო გამონათქვამი დაინახონ.
ყოველი მომცრო ჯგუფისთვის მოამზადეთ ოთახი, ოთახში სადემონსტრაციო დაფა შეიტანეთ და ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებზე ნიშნები დაკიდეთ.

გააცანით მონაწილეებს სავარჯიშო. თქვენ აპირებთ, აჩვენოთ მათ გამონათქვამი და სთხოვოთ, დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ამ გამონათქვამს, შემდეგ კი გადაინაცვლონ ოთახის იმ მხარეს, სადაც მათი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნიშანი კიდია. ყველამ გარკვეული პოზიცია უნდა დაიკავოს, ოთახის შუა ნაწილში არავინ რჩება. როდესაც ყველა მოსწავლე თავის ადგილს დაიკავებს, სთხოვეთ მათ, განუმარტონ ერთმანეთს, რატომ დაეთანხმნენ ან არ დაეთანხმნენ გამონათქვამს. ყველას შეუძლია ადგილის შეცვლა, თუკი დისკუსიის მსვლელობისას მოწინააღმდეგე მხარის რაიმე არგუმენტი დაარწმუნებს. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს სავარჯიშო ამა თუ იმ საკითხის გარშემო დისკუსიის გაჩაღების, სხვადასხვა არგუმენტის მოგროვებისა და სხვადასხვა აზრის მოსმენის ინსტრუმენტია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

3 როგორი დამოკიდებულება გვაქვს ადამიანის უფლებების მიმართ?

დაიწყეთ სავარჯიშო, წარმოადგინეთ პირველი გამონათქვამი. მიეცით მოსწავლეებს დრო, წაიკითხონ და გაიგონ გამონათქვამი. შემდეგ სთხოვეთ, დაიკავონ ადგილები სხვადასხვა მხარეს. როდესაც ყველა დაიკავებს ადგილს, მოუწოდეთ, განმარტონ თავ-თავიანთი გადაწყვეტილებები. თუ საჭირო იქნა, შეგიძლიათ გამოაცოცხლოთ დისკუსია და პირდაპირ ჰკითხოთ მონაწილეებს, რას ფიქრობენ, მაგრამ, ჩვეულებრივ, დისკუსია თავისით ვითარდება.
ამ ეტაპზე სავარჯიშოს მიზანი არ არის კონსენსუსის მიღწევა. თავად გადაწყვიტეთ, როდის დადგება დისკუსიის დამთავრების დრო, და გადადით შემდეგ გამონათქვამზე. ეს შეიძლება გააკეთოთ მაშინ, როდესაც ყველა აქტიურად ჩაბმული იქნება დისკუსიაში — თავად თამაშმა უნდა დაუდოს დასაბამი შემდგომ, უფრო ღრმა და ხანგრძლივ დაფიქრებას.
ასეთი წესით გააგრძელეთ დანარჩენ გამონათქვამებზე მუშაობა. როდესაც დაამთავრებთ, შეიძლება ჰკითხოთ მონაწილეებს აზრი და შეეცადოთ სადავო საკითხების გარკვევას. თუ რომელიმე გამონათქვამი ისეთი საკამათოა, რომ მონაწილეები განაგრძობენ მის შესახებ მსჯელობას, ჩაინიშნეთ ეს საკითხი და მოგვიანებით, პროგრამის რომელიმე სხვა ეტაპზე, მიუბრუნდით.
ან შეგიძლიათ გადახვიდეთ მე-2 ვარიანტზე.

მე-2 ვარიანტი
როდესაც ყველა გამონათქვამს განიხილავთ, სათითაოდ დაუბრუნდით ყოველ მათგანს. ამჯერად სთხოვეთ მონაწილეებს, ისე ჩამოაყალიბონ გამონათქვამი, რომ ყველა დაეთანხმოს, მაგრამ გამონათქვამში დასმული საკითხი არ შეიცვალოს. საკმარისი დრო მიეცით გამონათქვამების განსახილველად, რათა მონაწილეები ნამდვილად დაფიქრდნენ და ავტომატურად არ დაიკავონ პოზიცია „ვეთანხმები“ ან „არ ვეთანხმები“.

ანალიზი და შეფასება

- რატომ იყო ასე ძნელი ზოგიერთ გამონათქვამთან დაკავშირებით თანხმობის მიღწევა?
- რატომ იყო ეს ადვილი სხვა გამონათქვამებთან დაკავშირებით?
- აღელვებთ თუ არა მოსწავლეებს ზოგიერთი საკითხები სხვებზე მეტად?
- რატომ?
- შეგხვდათ თუ არა ისეთი საკითხები, რომელთა განხილვას მონაწილეები მეტხანს მოინდომებდნენ?

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი სადავო გამონათქვამის მაგალითები:

- ✔ ადამიანის უფლებები იდეალებია. მათ არა აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა.
- ✔ ადამიანის უფლებები იცვლება. ეს ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს იქნება მუდმივი.
- ✔ არ არის საჭირო, ახალგაზრდებმა იცოდნენ რაიმე ადამიანის უფლებების შესახებ. ადამიანის უფლებებს უფროსები უნდა იცავდნენ.
- ✔ ჩვენ არ გვჭირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რადგან ჩემი ქვეყნის კონსტიტუციაშიც იგივე იდეებია გაცხადებული.
- ✔ მამაკაცებს მეტი ადამიანის უფლებები აქვთ, ვიდრე ქალებს.
- ✔ ადამიანის უფლებები ფუფუნებაა, რომელიც მხოლოდ მდიდარ ქვეყნებს ხელეწიფებათ.
- ✔ ადამიანის უფლებებით ვერ ისარგებლებ, თუ საკმარისი საჭმელი არა გაქვს.
- ✔ შენი ადამიანის უფლებები მე არ უნდა დავიცვა — ეს მთავრობის საქმეა.
- ✔ არ არის საჭირო ნარკომანთა ადამიანის უფლებების დაცვა, რადგან ისინი კანონს არღვევენ.

წყარო: „თქვენი პოზიცია?“ (Where do you stand?) კულტურათაშორისი სწავლებისთვის განკუთვნილი კომპლექტი და „კოიოტი“ *(Coyote)*, ევროპის საბჭო/ევროკომისია, სტრასბურგი, 1999 წლის დეკემბერი. გამონათქვამების ავტორია ფელისა თიბითსი, *"Human Rights Education Associates"*.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

4 თქვენი ქვეყანა და ადამიანის უფლებები

სავარჯიშოების მიზანია დამოუკიდებელი მუშაობისა და ანალიზის ხელშეწყობა

ადამიანის უფლებების ისტორია

ადამიანის უფლებების ისტორიული ფონი.

ყოველ ქვეყანას ადამიანის უფლებების სფეროში საკუთარი ისტორია აქვს. მაგალითად, უნგრეთში, მონების არაერთი ამბოხების (1514/1710) შედეგად 1848 წელს მიღებული იქნა კანონი ბატონყმობის გაუქმებისა და პრესის თავისუფლების შემოღების შესახებ. კიდევ უფრო ძველ დროს, 1215 წელს, ინგლისში, ინგლისელმა ფეოდალებმა და მეფე ჯონმა მოაწერეს ხელი „თავისუფლების ქარტიას“, რის შედეგადაც მეფის ტირანია კონსტიტუციური მექანიზმებით შეიზღუდა. შედარებით ბოლოდროინდელ ისტორიაშიც ევროპაში უამრავი მაგალითი მოიძებნება თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისთვის მოძრაობის სფეროდან.

მოსწავლეთა ჯგუფებს დაავალეთ, მოიძიონ მასალა იმ ადამიანების, პუბლიკაციების, ხელოვნების ნიმუშების, მოვლენებისა და მოძრაობების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების განვითარებასთან. ერთ ან მეტ ჯგუფს შეიძლება დაავალოთ სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებების საკითხის შესწავლა.

მიღებული შედეგები სხვადასხვანაირად შეგიძლიათ გამოიყენოთ:

- თითოეული ჯგუფი თავის შედეგებს მთელს კლასს წარუდგენს.
- თუ ჯგუფი მიაკვლევს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიმღერებს, ეს სიმღერები შეიძლება ყველამ ისწავლოს.
- თავისი ჯგუფის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ცალკეულ მონაწილეებს შეუძლიათ დაწერონ თემა განსახილველი საკითხის ამა თუ იმ ასპექტთან დაკავშირებით.
- მოაწყვეთ გამოფენა თემაზე „ადამიანის უფლებები და ჩვენი ქვეყანა“ სხვა კლასების მოსწავლეთათვის.

ადამიანის უფლებების დასაცავად მოღვაწე ადამიანები და ორგანიზაციები

ყოველ ჩვენგანს აკისრია ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის პასუხისმგებლობა. თუმცა სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ადამიანის უფლებები, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის, განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაარკვიონ, რომელი არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ თქვენს ქვეყანაში ამ სფეროში.

- ✔ რა მიზნები აქვთ ამ ორგანიზაციებს?
- ✔ რას აკეთებენ ისინი?
- ✔ ვინ არიან ამ ორგანიზაციების წევრები?
- ✔ არის თუ არა თქვენს რეგიონში ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები?
- ✔ იქნებ შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევა კლასთან გასასაუბრებლად?

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

4 თქვენი ქვეყანა და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

შეისწავლეთ თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული კავშირები.

ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს დაავალეთ, იმუშაონ შემდეგ საკითხებზე:

- როდის გახდა თქვენი ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი?
- რა მიზეზები ამოძრავებდა გაერო-ში გაწევრიანებისას?
- როდის მოაწერა ხელი თქვენმა ქვეყანამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას?
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ გაერო-ს რომელ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე აქვს ხელი მოწერილი თქვენს ქვეყანას?
- როდის გახდა თქვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს წევრი?
- რა მიზეზები ამოძრავდებდა ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას?
- რა ძირითადი განსხვავება არსებობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის?
- როდის მოაწერა ხელი თქვენმა ქვეყანამ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და რომელიმე მის ოქმს და მოახდინა მათი რატიფიცირება?
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კიდევ რომელი საერთაშორისო ვალდებულება აქვს ნაკისრი თქვენს ქვეყანას?

თქვენი ქვეყანა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

რა შედეგები მოჰყვა თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ამოქმედებას?

ეს სავარჯიშოც გულისხმობს თქვენი მოსწავლეების მიერ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას. რომელიმე ქვეყნის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირებას შორსმიმავალი შედეგები მოსდევს.

- რომელ საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ახდენს ზემოქმედებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია?
- რომელ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ, რომ ქვეყნის მოსახლეობა სარგებლობდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით?
- ხომ არ იქნება შესაძლებელი, ეწვიოთ კლასთან ერთად რომელიმე ამგვარ ინსტიტუტს?
- თქვენი ქვეყნის კონსტიტუციის რომელი დებულებებია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაზღვრული უფლებების ანალოგიური?
- ვინ არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრი მოსამართლე თქვენი ქვეყნიდან და როგორ მოხდა მისი არჩევა?
- იყო თუ არა რომელიმე საქმე თქვენი ქვეყნიდან განხილული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში? თუ იყო, როგორ დასრულდა ეს საქმე?

არსებობს რამდენიმე სხვა კონვენცია და მექანიზმი ადამიანის უფლებების დასაცავად. რა კავშირები არსებობს თქვენს ქვეყანასა და (🚶 დ)

- ევროპის სოციალურ ქარტიას შორის?
- წამების თავიდან აცილების თაობაზე კონვენციას შორის?
- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციას შორის?
- რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპულ კომისიას შორის?



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

5 ადამიანის უფლებები და თქვენი კლასი ან თქვენი სკოლა

სავარჯიშოები

ეს სავარჯიშო მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს თქვენი სკოლის მიმართება ადამიანის უფლებებისადმი

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით თქვენს სკოლაში არსებული „ტემპერატურა“

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაზღვრული კრიტერიუმების (1) მეშვეობით მონაწილეები აფასებენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სკოლაში არსებულ კლიმატს. შემდგომი დისკუსიის მიზანია განსაკუთრებით შემაშფოთებელი პრობლემების დადგენა და მათი მოგვარებისთვის სამოქმედო გეგმის დასახვა. ეს სავარჯიშო საკმაოდ რთული შესასრულებელია და შესაძლოა, საჭირო გახდეს დახმარება და თანამშრომლობა სკოლის პერსონალის მხრიდან.

1. დაავალეთ მოსწავლეებს, ქვემოთ მოცემული კითხვარის შევსების მეშვეობით შეისწავლონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სკოლაში არსებული კლიმატი, ანუ „გაზომონ ტემპერატურა“.

2. დისკუსიის დაწყებამდე მოამზადეთ და დაფაზე ან სადემონსტრაციო ფურცელზე დაწერეთ შეფასების 1-4 ბალიანი შკალა. შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს, პასუხი გასცენ თითოეულ შეკითხვას.

შენიშვნა: შესაძლოა, მოსწავლეებმა არ მოისურვონ პასუხების საჯაროდ გაცემა. იქნებ აკრიფოთ და შემდეგ ხელახლა დაარიგოთ კითხვარები, რათა უზრუნველყოთ ანონიმურობა.

3. გამართეთ დისკუსია კითხვარების შედეგებზე. ქვემოთ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით ანალიზისა და შეფასების ეტაპიდან სამოქმედო გეგმის შედგენაზე გადადით.

ა. რომელ სფეროებში მისდევს ან ხელს უწყობს თქვენი სკოლა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრინციპების დამკვიდრებას?

ბ. რომელ სფეროებში აღმოაჩინეთ პრობლემები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით? ყველაზე მეტად რომელი მათგანი გაშფოთებთ?

გ. მიგიძღვით თუ არა რაიმე წვლილი თქვენ ან რომელიმე სხვა მოსწავლეს არსებული კლიმატის შექმნასა და შენარჩუნებაში (მაგალითად, გარკვეული ქმედებების ჩადენით თუ ჩაუდენლობით — თუნდაც შემჩნეული დარღვევების იგნორირებით ან ინციდენტების თაობაზე გაჩუმებით)?

დ. არიან თუ არა კითხვარის შემვსები პირები თქვენი სკოლის ტიპური წარმომადგენლები? მოსწავლეთა სხვა ჯგუფის მიერ კითხვარის შევსების შემთხვევაში განსხვავებული პასუხები ხომ არ არის მოსალოდნელი?

ე. რა არის საჭირო თქვენს სკოლაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კლიმატის გასაუმჯობესებლად? რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ და თქვენმა ჯგუფმა იმისათვის, რომ დამყარდეს უფრო ჰუმანური და სამართლიანი გარემო, სადაც ხელი შეეწყობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ფასეულობების ხორცშესხმას და დამკვიდრდება ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემით აღსავსე ქცევის წესი?

4. განიხილეთ კითხვარის მე-12 შეკითხვა, ხაზი გაუსვით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისა და შესაბამისად ქცევის მნიშვნელობას. შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და სთხოვეთ, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა შეიძლება გააკეთოს ჯგუფმა, რათა გამოსწორდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაცია. შეადგინეთ შესაძლო ქმედებების მოკლე ჩამონათვალი. სანამ განსახორციელებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, საფუძვლიანად განიხილეთ და ისაუბრეთ ამ ჩამონათვალში აღნიშნულ საკითხებზე.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

5 ადამიანის უფლებები და თქვენი კლასი ან თქვენი სკოლა

თქვენს სკოლაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებული „ტემპერატურის გაზომვა“

შესავალი

ქვემოთ ჩამოთვლილი გამონათქვამები შედგენილია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებზე დაყრდნობით (თითოეულ გამონათქვამთან ფრჩხილებში მითითებულია შესაბამისი მუხლი). ამ საკითხებიდან ზოგიერთი სხვებზე მეტად არის დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ყველა გამონათქვამი ეხება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში განსაზღვრულ განათლების უფლებას, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და გულისხმობს, რომ:

ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება... განათლება მიმართული უნდა იქნეს პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებისაკენ.

ცხადია, საჭირო იქნება მეტი შეკითხვების დასმა. დისკუსიის პროცესში კითხვების დასმა ხელს შეუწყობს უფრო ღრმა შეფასებასა და ანალიზს.

სახელმძღვანელო მითითებები: წაიკითხეთ თითოეული გამონათქვამი, შეაფასეთ, რამდენად ზუსტად აღწერს ის თქვენი სკოლის კოლექტივს და დაუსვით ქულა გვერდით გრაფაში (გაიხსენეთ სკოლის მთელი პერსონალი: მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია, სხვა თანამშრომლები). ბოლოს შეაჯამეთ ქულები და ნახეთ, როგორი შეფასება მიიღო თქვენმა სკოლამ.

შეფასების შკალა

1 - არა/არასოდეს **2** - იშვიათად **3** - ხშირად **4** - დიახ/ყოველთვის

_____1. ჩემს სკოლაში მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხოება და პირადი ხელშეუხებლობა (მუხლები 2 და 3).

_____2. არ ხდება სკოლის კოლექტივის წევრების დისკრიმინაცია მათ მიერ არჩეული ცხოვრების სტილის (როგორიც არის, მაგალითად, ჩაცმის სტილი, გარკვეული ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა და საქმიანობა არასასკოლო პერიოდში) გამო (მუხლი 14; ოქმი No. 12).

_____3. ჩემს სკოლაში ყველა ადამიანისთვის უზრუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა, რესურსები და ღონისძიებები (მუხლი 14; ოქმი No. 12).

_____4. ჩემი სკოლის კოლექტივის წევრები წინააღმდეგობას გაუწევენ სკოლაში დისკრიმინაციულ ან დამამცირებელ ქმედებებს, მასალებს ან გამოთქმებს (მუხლები 2, 9, მუხლი 14; ოქმი No. 12).

_____5. კონფლიქტების წარმოქმნის შემთხვევაში ვცდილობთ მათ მოგვარებას ძალადობის გამოუყენებლად, თანამშრომლობის გზით (მუხლები 2, 3).

_____6. დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებში (მათ შორის, გაკვეთილებზე დასწრების შეზღუდვისა და სკოლიდან გარიცხვის საკითხებში) დანაშაულის დადგენისა და სასჯელის განსაზღვრისას ყველა მოსწავლისთვის გარანტირებულია სამართლიანი და ობიექტური დამოკიდებულება (მუხლი 6).

_____7. დარღვევის ჩადენაში ბრალდებული ყოველი მოსწავლე დანაშაულის დამტკიცებამდე უდანაშაულოდ ითვლება (მუხლი 6).

_____8. ყველა პატივისცემით ეკიდება ჩემს პირად ადგილს და საკუთრებას (მუხლი 8; მუხლი 1, ოქმი No. 1).

_____9. ჩემი სკოლის კოლექტივი სიამოვნებით ღებულობს სხვადასხვა ეროვნებისა და განსხვავებული კულტურის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წევრებს და თანამშრომლებს (მუხლები 1, 9, 10, 14; ოქმი No. 12).

_____10. ჩემი სკოლის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ (ინდივიდუალურად და ამა თუ იმ ორგანიზაციის მეშვეობით) სკოლის პოლიტიკისა და წესების შესამუშავებლად გადაწყვეტილებათა მიღების დემოკრატიულ პროცესებში (მუხლი 11, მუხლი 3, ოქმი No. 1).

_____11. ჩემი სკოლის კოლექტივის წარმომადგენლებს სასკოლო დღის განმავლობაში საკმარისი დრო აქვთ დასასვენებლად, გარდა ამისა, მათთვის სამართლიან სამუშაო პირობებში გონივრული სამუშაო საათებია დადგენილი (მუხლი 4).

_____12. მე პასუხისმგებელი ვარ, რომ ჩემს სკოლაში არ მოხდება არც ერთი ადამიანის დისკრიმინაცია და ყველა ჩვენგანის საქციელი ხელს შეუწყობს სკოლის კოლექტივის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას (მუხლები 1 და 29).

მაქსიმალური შესაძლო ტემპერატურა = ადამიანის უფლებათა 48 გრადუსს

თქვენს სკოლაში არსებული ტემპერატურა _____

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

წყარო: დ. შიმანი და კ. რუდელიუს-პალმერი, „ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობა: ადამიანის უფლებები“ (*Economic and Social Justice: A Human Rights Perspective*) (მინეაპოლისი: ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი, მინესოტას შტატის უნივერსიტეტი, 1999).
ინტერნეტში: http://www1.umn.edu/humanrts/edumat/pdf/TB1.pdf

6 ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული როლების გათამაშება

სავარჯიშოების მიზანია კონკრეტულ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა დაცვაში გავარჯიშება

როლების გათამაშების გამოყენება

როლების გათამაშება სწავლების აქტიური მეთოდია, რომელიც ემყარება სცენარს. სცენარის მიხედვით ჯგუფის წევრებს კონკრეტული როლის თამაში უწევთ. ეს ძალზე ძლიერი საშუალებაა და მისი გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ. ამ სავარჯიშოსთვის ზუსტი მიზნები და ამოცანები უნდა დასახოთ. სცენარი უნდა მიუსადაგოთ მოსწავლეთა ჯგუფის კონკრეტულ საჭიროებებსა და ჯგუფის ხასიათს. დაუშვებელია, რომ თავად სცენარმა ან რომელიმე როლმა პირადი შეურაცხყოფა მიაყენოს რომელიმე მონაწილეს. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ისეთი როლების თამაშს დაავალებთ, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში არასოდეს შეასრულებდნენ. დარწმუნდით, რომ საკმარისი ადგილი გაქვთ და სცენარის გათამაშებისას ხელს არავინ შეგიშლით. თავად როლების გათამაშებისა და შემდგომი დისკუსიისათვის საკმარისი დრო გამოყავით. აუცილებელია, აგრეთვე, მონაწილეებისთვის დროის გამოყოფა, რათა გაეცნონ სცენარს, გაითავისონ როლი და, რაც მთავარია, დისკუსიის დაწყებამდე გამოვიდნენ როლიდან. მაყურებლები (ის მოსწავლეები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას როლების გათამაშებაში) კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სცენართან დაკავშირებით და მონაწილეობა უნდა მიიღონ დისკუსიაში.

როდესაც აითვისებთ მოცემული როლების გათამაშების პროცესს, სთხოვეთ მოსწავლეებს, შემოგთავაზონ ახალი როლები თქვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაყრდნობით. თავიდან ეს შეიძლება იყოს ძალიან მარტივი იდეები, რომლებსაც საფუძვლად დაედება სიტუაციები სახლის, სკოლის ყოველდღიური რეალობიდან და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან, როდესაც მათ უფლებებს სხვა ადამიანების უფლებები უპირისპირდება. მაგალითად, წვეულების გამართვა გინდათ, თქვენი მეზობლები კი ადრე იძინებენ; ან ორ კლასს სკოლის რომელიმე სათავსო სხვადასხვა მიზნისათვის სჭირდება:

- ✔ რა პრობლემები შეხვდათ და როგორ მოაგვარეს სიტუაცია?
- ✔ რა ახალი აზრების შემოთავაზება შეუძლია კლასს?

ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება უფრო რთულ სიტუაციებზე გადასვლა (7).

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

6 ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული როლების გათამაშება

როლები ყოველდღიური ცხოვრებიდან

შესთავაზეთ მონაწილეებს, დაიყონ სამ ან ოთხკაციან მომცრო ჯგუფებად. წაიკითხეთ როლების გათამაშების 1-ლი სცენარი და სთხოვეთ მოსწავლეებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადაპტირებულ ტექსტში (1) იპოვონ ის მუხლები, რომლებიც შეესაბამება ამ სიტუაციას. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი შესაძლო პასუხი, მაგრამ ეს ჩამონათვალი არ არის სრული. ამ სამუშაოსთვის 5-10 წუთი გამოყავით. გაიმეორეთ იგივე როლების გათამაშების მე-2 და მე-3 სცენარების შემთხვევაში.

- როლების გათამაშების 1-ლ სცენარს ყველაზე მეტად მიესადაგება მუხლი 1, მუხლი 14, მე-4 ოქმის მუხლი 2.
- როლების გათამაშების მე-2 სცენარს ყველაზე მეტად მიესადაგება მუხლი 11.
- როლების გათამაშების მე-3 სცენარს ყველაზე მეტად მიესადაგება მუხლი 3, მუხლი 10, მუხლი 11.

ხელახლა დაყავით კლასი სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს მიეცით თითო სცენარი. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, გაითამაშონ თავ-თავიანთი სიტუაცია და მოიფიქრონ საკუთარი ფინალი. მათ უნდა გადაწყვიტონ, ვინ შეასრულებს ამა თუ იმ როლს და როგორ უნდა გაითამაშონ დასასრული.

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, მთელი კლასის წინაშე გაითამაშოს საკუთარი სცენარი. ყოველი გათამაშების შემდეგ ჰკითხეთ მონაწილეებს, რა დამოკიდებულება ჰქონდათ დასმული პრობლემის გადაჭრის მიმართ. შემდეგ მთელ კლასს სთხოვეთ, მოიფიქროს სხვა შესაძლო ფინალები. უბიძგეთ მათ, მოიფიქრონ, თუ რა გზით მოახერხებდა ამ სიტუაციაში ადამიანი, თავიდან აეცილებინა უფლებათა დარღვევა.

როლების გათამაშება 1

იდას უნდა მეზობელი ქვეყნის საზღვრის გადაჭრა და იმ ქვეყანაში გათხოვილი თავისი ქალიშვილის მონახულება. საზღვარზე მას არ ატარებენ და ეუბნებიან, რომ ის ძალიან ღარიბია და ვერ გადაიხდის მათ ქვეყანაში სასტუმროს ღირებულებას.

როლების გათამაშება 2

ივანე მანქანებს რეცხავს ავტომობილების სამრეცხაო კომპანიაში. ზამთარში მას ხელები მუდამ დაზიანებული აქვს ყინულისაგან. მისმა უფროსმა თქვა, რომ არ უყიდის ივანეს ხელთათმანს, რადგან ის ძალზე ძვირია. ივანეს არა აქვს ხელთათმანის თავად ყიდვის შესაძლებლობა. იგი დახმარების თხოვნით პროფკავშირს მიმართავს. როდესაც ამას უფროსი გაიგებს, ის ათავისუფლებს ივანეს სამსახურიდან.

როლების გათამაშება 3

ქალაქის უკანასკნელი გამწვანებული პარკის ადგილას ავტოსადგომის აშენებას აპირებენ. მეზობლად მცხოვრები ათი ადამიანი პარკში მშვიდობიან დემონსტრაციას მართავს. ეს ადამიანები ამბობენ, რომ მათ სჭირდებათ დასასვენებელი და ბავშვების სათამაშო ადგილი. მოდის პოლიცია და ეუბნება მათ, რომ არა აქვთ დემონსტრაციის გამართვის უფლება და შინ უნდა წავიდნენ. დემონსტრანტები მიწაზე სხდებიან და უარს ამბობენ დაშლაზე. პოლიცია მათ ძალით აყენებს. დემონსტრანტებს შორის არიან დაზარალებულები.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

წყარო: „ემნესთი ინთერნეშნელის“ „პირველი ნაბიჯები“ *(First Steps)* (ე).

7 შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან

სავარჯიშოს მიზანია, ხელი შეუწყოს დისკუსიას სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ

დაფიქრდით ქვემოთ მოთხრობილ მცირე „ამბავზე“. რა აზრის გადმოცემაა მიზნად დასახული?

დაწყებითი სკოლის მოსწავლეები შესვენების შემდეგ კლასში ბრუნდებიან. მასწავლებელი ეკითხება პატარა ელისს: „რას აკეთებდი შესვენებაზე?“ ელისი პასუხობს: „ვთამაშობდი სათამაშო მოედანზე“. მასწავლებელი ამბობს: „ძალიან კარგი. გამოდი დაფასთან და თუ სწორად დაწერ სიტყვას „თამაში“, ოქროს ვარსკვლავს მიიღებ“. ელისი გადის დაფასთან, სწორად წერს სიტყვას და ღებულობს ვარსკვლავს.

მასწავლებელი ეკითხება პატარა ბილის, რას აკეთებდა შესვენებაზე. ბილი პასუხობს: „სათამაშო მოედანზე ელისთან ერთად ვთამაშობდი“. მასწავლებელი ეუბნება: „ძალიან კარგი. თუ სწორად დაწერ სიტყვას „ვთამაშობდი“, ოქროს ვარსკვლავს მიიღებ“. ბილი სწორად წერს სიტყვას და ოქროს ვარსკვლავს ღებულობს.

შემდეგ მასწავლებელი პატარა აჰმედს ეკითხება, რას აკეთებდა შესვენებაზე. აჰმედი პასუხობს: „ვცდილობდი, ელისთან და ბილისთან ერთად მეთამაშა, მაგრამ ისინი ქვებს მესროდნენ“. მასწავლებელი ამბობს: „რაო? ქვებს გესროდნენო? ეს აღმაშფოთებელ, გაუმართლებელ რასობრივ დისკრიმინაციას ჰგავს. თუ დაფასთან გამოხვალ და სწორად დაწერ „აღმაშფოთებელ, გაუმართლებელ რასობრივ დისკრიმინაციას“, ოქროს ვარსკვლავს მიიღებ“.

ასეთი რამ, ალბათ, არასოდეს მომხდარა, მაგრამ ეს მოგონილი ამბავი ყურადღებას ამახვილებს სირთულეებზე, რომლებიც გვხვდება იმის გაანალიზებისას, ხელი ეწყობა თუ არა ადამიანის უფლებების დამკვიდრებას ამა თუ იმ სიტუაციაში. ფილოსოფიის პროფესორის ბერნარ დეფრანსის გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, სკოლა შეიძლება იყოს უუფლებობის ადგილი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და მოსწავლეებს გადაუხვევიათ კანონისთვის ან ხელუყვიათ სხვა ადამიანების ფიზიკური თუ მორალური ხელშეუხებლობა. ასეთი რამ მაშინაც შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანები არ იცნობენ კანონებს ანდა აწყდებიან დესტაბილიზების გამომწვევ დრამატულ სიტუაციებს, მაგალითად, ძალადობას ან გარიყვას. როგორ უნდ ვაქციოთ ჩვენი სკოლები ისეთ ადგილებად, სადაც უფლებები დაისადგურებდა? ვინ უნდა მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა?

დაურიგეთ მოსწავლეებს ფურცლები, რომლებზეც ქვემოთ ჩამოთვლილი სასკოლო ცხოვრების ამბებია მოთხრობილი და უთხარით, რომ ეს შემთხვევები სამი კონტინენტის სკოლების ცხოვრებიდან არის ამოკრეფილი. როდესაც მოსწავლეები წაიკითხავენ ამბებს, დაყავით ისინი მომცრო ჯგუფებად და შესთავაზეთ, გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები.

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, შეარჩიოს ერთი ან ორი შემთხვევა და განიხილოს, რომელი უფლებები დაირღვა და რა უნდა გაკეთდეს, ასეთი სიტუაცია თავიდან რომ იქნეს აცილებული. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ იმაზე, თუ ვინ უნდა ჩაერთოს აღნიშნული სიტუაციების თავიდან აცილებაში: მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

ეს სავარჯიშო სხვადასხვაგვარად შეიძლება ჩატარდეს:

- შედეგების გამოყენებით როლების გათამაშებაში (✗ 6)
- მოთხრობილი შემთხვევების საკუთარი სკოლის ცხოვრებასთან შედარებით
- უფლებებისა და მოვალეობების სასკოლო ქარტიის პროექტის მომზადებით

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

7 შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან

აფრიკის, აშშ-ისა და ევროპის სკოლებში მომხდარი რეალური შემთხვევები

დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს, შემდეგ კი ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ დაუშვეს გაკვეთილებზე, რადგან მათ მასწავლებლის მოსვლამდე არ დაასუფთავეს საკლასო ოთახი.

ბიჭები გოგონებს ამცირებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და დასცინოდნენ.

მსუქან ბიჭს თანაკლასელები სულ დასცინოდნენ.

უფროსი ბავშვები უმცროსებს ფულს სძალავდნენ.

მოსწავლეები სულ ყვიროდნენ და ხელს უშლიდნენ მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში.

მასწავლებელი თავის მოსწავლეებს „იმბეცილებს“ ეძახდა და დასცინოდა ჩამორჩენილებს.

მოსწავლეებსა და უფროსებს შორის უთანხმოების შემთხვევებში სკოლის დირექტორი ყოველთვის უფროსებს უჭერდა მხარს.

8 წლის მოსწავლეს პირი „სკოჩით“ აუკრეს, რადგან ის უნებართვოდ ლაპარაკობდა.

მოსწავლეთა დიდი რაოდენობა არ ესწრებოდა რელიგიურ დღესასწაულს: მათ მიიღეს „0“, რადგან მასწავლებელმა იმ დღეს საკონტროლო სამუშაო ჩაატარა.

დირექტორს ეშინოდა იმ მოსწავლეების დასჯა, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს მასწავლებელს მისი მოვალეობის შესრულებისას.

9 წლის მოსწავლე იმით დაისაჯა, რომ მოსთხოვეს, ოცჯერ დაეწერა: „მე არ შემიძლია სკოლაში გავიცინო.“

საშუალო სკოლაში მასწავლებელმა განაცხადა, რომ „ჰოლოკოსტი“ (ფაშისტების მიერ ებრაელთა მასობრივი განადგურება) არასოდეს ყოფილა.

სკოლის დირექტორმა მოითხოვა, რომ ქურდობაში დამნაშავე მოსწავლეს საჯაროდ, ეზოში შეკრებილი მთელი სკოლის წინაშე, ეღიარებინა თავისი დანაშაული.

სკოლის დირექტორს არ მოსწონდა, რომ ბიჭები თმას უკან რეზინით იკრავდნენ. ერთხელ მან აიღო მაკრატელი და ერთ-ერთ მოსწავლეს კუდი მოაჭრა.

მუსლიმანმა გოგონებმა უარი თქვეს, მოეხსნათ თავსაბურავები საკლასო ოთახში. ისინი სკოლიდან გააგდეს.

ერთხელ, დეკემბრის ცივ დღეს, დაისაჯა მოსწავლე გოგონა, რადგან მან მასწავლებლების ტუალეტით ისარგებლა. მოსწავლეთა ტუალეტები შენობის გარეთ იყო განლაგებული და არ თბებოდა.

ერთ-ერთმა მოსწავლემ დირექციას შეატყობინა, რომ სხვა მოსწავლეები სკოლაში ანაშას ყიდიან. შესვენებაზე ამ მოსწავლეს სხვებმა შეურაცხყოფა მიაყენეს.

სკოლის ავტოსადგომზე მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ მისი მანქანა მოუხატავთ, საბურავები კი გაუხვრიტავთ.

წყარო: „დამხმარე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესასწავლად“ (ე).
(Teaching Guide to the European Convention on Human Rights)

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

8 თქვენი მომავალი, სამსახური და ადამიანის უფლებები

სავარჯიშოები

სავარჯიშოების მიზანია, სხვაგვარად შევხედოთ მომავალს და სამსახურთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს



ადამიანის უფლებების სფეროში კულტურის დამკვიდრებისთვის საჭიროა, რომ ადამიანები იცნობდნენ უფლებებსა და მოვალეობებს და იცოდნენ, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები. ეს ნიშნავს, აგრეთვე, რომ ადამიანებმა უნდა იცხოვრონ ადამიანის უფლებების სულისკვეთებით. სავარჯიშო გვთავაზობს ამგვარი დამოკიდებულების ძირითადი ელემენტების აღმოჩენის გზას.

დაყავით მოსწავლეები ორ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე გაესაუბრეთ.
თითოეული ჯგუფი ღებულობს მარკერებს და დიდ ფურცლებს (2მ x 1მ) — ეს შეიძლება იყოს ერთმანეთზე დაწებებული ძველი პლაკატები.
თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე წვება ფურცელზე, ხოლო დანარჩენები შემოავლებენ მარკერს და ხატავენ მის ფიგურას.

პირველი ჯგუფის ამოცანაა, დაფიქრდეს ყველა იმ თვისებაზე (როგორიც არის, მაგალითად, მიზანსწრაფულობა და ეგოიზმი) და უნარზე (როგორიც არის საკუთარი არგუმენტებით სხვა ადამიანების დარწმუნება), რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს, თუ მარტო საკუთარ და არა სხვის უფლებებს გაითვალისწინებს.

მეორე ჯგუფის ამოცანაა, დაფიქრდეს ყველა იმ თვისებაზე (როგორიც არის, მაგალითად, მიზანსწრაფულობა და შემწყნარებლობა) და უნარზე (როგორიც არის სხვა ადამიანებთან მოლაპარაკების უნარი), რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს და თან მიაჩნდეს, რომ ადამიანის უფლებები ყველა ადამიანისთვის ერთნაირად არსებობს.

თითოეული ჯგუფი უნდა შეეცადოს, შეავსოს ადამიანის ფიგურის მონახაზი რაც შეიძლება მეტი თვისებითა და უნარით.

გააერთიანეთ ორივე ჯგუფი და შეადარეთ შედეგები.

- ✔ ხომ არ წერია ერთი და იგივე თვისებები და უნარ-ჩვევები ორივე ფიგურაში? რატომ?
- ✔ რომელი თვისებები და უნარ-ჩვევებია ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე ფიგურისთვის?
- ✔ კითხვა, რომელზეც თითოეული მოსწავლე თავისთვის უნდა დაფიქრდეს — როგორი მინდა, რომ ვიყო?

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

8 თქვენი მომავალი, სამსახური და ადამიანის უფლებები

რა გინდა გამოხვიდე, როდესაც გაიზრდები?

როდესაც ჩვენს მომავალ კარიერაზე ვფიქრობთ, წინასწარ ვიცით, რომ მოვლენათა მსვლელობაზე უამრავ ფაქტორს შეუძლია ზეგავლენის მოხდენა — ყველაფერი მარტო ჩვენს ძალისხმევაზე არ არის დამოკიდებული. გარემო პირობები შეიძლება შეიცვალოს: ეკონომიკური კრიზისის შედეგად შეიძლება გაკოტრდეს კომპანია, სადაც თქვენ მუშაობთ; ახალმა ხელისუფლებამ შეზღუდვები შეიძლება დააწესოს იმ სფეროში, რომელშიც მუშაობა გინდათ; ბავშვობის მეგობარმა შეიძლება შემოგთავაზოთ სამსახური სხვა ქვეყანაში; შესაძლოა გაიზარდოს რომელიღაც სამუშაოსთვის საჭირო აკადემიური კვალიფიკაციის დონე; შეიძლება თქვენს ავტომობილს სატვირთო მანქანა დაეჯახოს; თქვენმა ლატარიის ბილეთმაც შეიძლება მოიგოს... ცხოვრება რთულია. და მაინც, ალბათ, საინტერესო იქნებოდა, ჩვენი მომავალი კარიერისთვის ადამიანის უფლებების თვალსაზიერიდან გადაგვევლო თვალი.

ოცნება

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რომელი სამსახურის არჩევაზე ოცნებობენ.
რატომ აირჩიეს ეს საქმე?
როგორ შეძლებენ, იშოვონ ეს სამსახური?
რა სახის კვალიფიკაცია (არა მარტო აკადემიური) იქნება ამისათვის საჭირო?
ხომ არ უოცნებია რომელიმე მათგანს ისეთ სამსახურზე, სადაც მუშაობა არ იქნებოდა საჭირო?

რეალობა

როგორ ფიქრობენ მოსწავლეები, სინამდვილეში როგორი ტიპის სამსახურს იშოვნიან?
განსხვავდება ეს სამუშაო საოცნებო სამსახურისგან?
იმისათვის იცხოვრებთ, რომ იმუშაოთ, თუ იმუშავებთ იმისთვის, რომ იცხოვროთ?
რამდენად თანასწორად მიუწვდება ხელი ყოველ მოსწავლეს ამ ტიპის სამსახურზე?

ადამიანის უფლებები — სამუშაოს შემადგენელი ნაწილი

ზოგიერთი ტიპის სამსახურის შემთხვევაში უფრო ადვილია ადამიანის უფლებების ფუნქციის დადგენა. პოლიციის თანამშრომლები უფრო პროფესიონალები არიან და უბრალოდ უკეთ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, თუკი ადამიანის უფლებებს პატივისცემით ეპყრობიან — ადამიანის უფლებები ხომ კანონის შემადგენელი ნაწილია, ხოლო პოლიციის მოვალეობა კანონის აღსრულებაა. უმეტეს ჩვენგანს წაუკითხავს ან ეკრანზე უნახავს, როგორ არღვევენ „კარგი“ პოლიციელები კანონს ბოროტმოქმედის დასაჭერად — და, ჩვეულებრივ, მხარსაც ვუჭერდით! მაგრამ რეალურ ცხოვრებაში პოლიციის თანამშრომლები ხშირად ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე — მათ უწევთ გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა ადამიანის უფლებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია.

კიდევ რამდენიმე მაგალითი სადისკუსიოდ:

მდივნებმა, რომლებსაც ადამიანების პერსონალურ მონაცემებთან უხდებათ მუშაობა, უნდა დაიცვან ადამიანის უფლება პირად ცხოვრებაზე. დაცვის თანამშრომლები თანასწორად უნდა მოეკიდონ ყველა ადამიანს, რომელსაც დისკოთეკაზე შესვლა უნდა. გენური ინჟინერიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა თავისი კვლევის შედეგებზე — ან, იქნებ, ეს მხოლოდ ეთიკის საკითხია? იუმორისტების ხუმრობებში არ უნდა ერიოს რასისტული ელემენტი.

სთხოვეთ მოსწავლეებს, კარგად ჩაუფიქრდნენ მათ მიერ არჩეულ საქმეს: შესაძლებელია თუ არა ამ სამუშაოს შესრულებისას ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელშეწყობა ან დაცვა? ხომ არ მოაფიქრდებათ რაიმე ისეთი სიტუაცია, როდესაც ეს საქმე საპირისპიროს იგულისხმებდა? შეადარეთ ერთმანეთს მათი პასუხები.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

9 ადამიანის უფლებები ეკრანზე

საეარჯიშოები

ვუყუროთ, ვუსმინოთ, განვიხილოთ და ვისწავლოთ

ქვემოთ ჩამოთვლილი ფილმები ასახავს ადამიანის უფლებებისადმი ძალზე მრავალფეროვან მიდგომებს — ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება გაგაკვირვოთ კიდეც. სათაურები მოცემულია ორიგინალის ენაზე და თან ახლავს ქართული თარგმანი (ზოგჯერ ინგლისური ან ფრანგულიც). გარდა ამისა, მითითებულია ეკრანზე გამოსვლის წელი, რეჟისორი და ქვეყანა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ყველა ეს ფილმი ადვილად შეგეძლებათ მოიძიოთ, დაგჭირდებათ, აგრეთვე, ვიდეოფორმატის შერჩევა ან, თუ საჭირო იქნა, ფილმის სუბტიტრებიანი ვარიანტის პოვნა.

ადამიანის უფლებათა ეკონომიკური დარღვევები

Yusul ile Kenan/Les gamins d'Istanbul
(სტამბოლელი ბიჭები)
ომერ კავური, 1979, თურქეთი
ფილმი მოგვითხრობს სტამბოლელ ქუჩის ბიჭებზე, რომლებიც, მიუხედავად შეურაცხყოფისა და მძიმე პირობებში ცხოვრებისა, ცდილობენ, დაეხმარონ ერთმანეთს და თავი გაიტანონ ქალაქში, რომელსაც არ სურს მათი დანახვა.

Brassed Off / Les Virtuoses
(ვირტუოზები)
მარკ ჰერმანი, 1997, დიდი ბრიტანეთი
დიდი „ჰიტი“. ფილმი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება მეშახტეების სასულე ორკესტრი მეშახტეებს, იპოვონ საკუთარი არსებობის აზრი უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში.

La vie rêvée des anges / The dreamlife of angels
(ანგელოზების ოცნებები)
ერიკ ზონკა, 1998, საფრანგეთი
ორი თანამედროვე ახალგაზრდა ქალი საფრანგეთში, სიღატაკის პირობებში, ცხოვრობენ ოცნების სამყაროში, ვინაიდან რეალობა ძალიან მკაცრია.

ადამიანის უფლებები ქალების უფლებებიც არის

Ladybird, Ladybird
(ჭია-მაია, ჭია-მაია)
კენ ლოუჩი, 1994, დიდი ბრიტანეთი
სოციალური სამსახური ართმევს ქალს შვილებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ ის მათ სწორად ვერ აღზრდის. ერთი სცენა განსაკუთრებით სულისშემძვრელია: მსახიობი ქალი შესანიშნავად გვაჩვენებს დედას, რომელსაც წაართვეს ყველა უფლება — თვით შვილების სიყვარულის უფლებაც კი.

Hazal
(ჰაზალი)
ალი ოეზენთურქი, 1980, თურქეთი
ანატოლიელი ქალის პორტრეტი.

Y aura-t-il de la neige à Noël
(მოვა საშობაოდ თოვლი?)
სანდრინ ვეისე, 1996, საფრანგეთი
მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ყოველდღიურად შეურაცხყოფს მის ღირსებას, ფილმის გმირი ქალი ახერხებს, გააგრძელოს ცხოვრება მხოლოდ თავისი შვილებისთვის და იმ იმედით, რომ საშობაოდ თოვლი წამოვა.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

9 ადამიანის უფლებები ეკრანზე

როგორ მივაღწიოთ თავისუფლებას, თუ წარსული წამლავს აწმყოს

Trahir
(ღალატი)
რადუ მიჰაილეანუ, 1995, რუმინეთი
რუმინეთში „სეკურიტატე“ — საიდუმლო პოლიცია — ბობოქრობს. ჩაუშესკუს დაცემის შემდეგ ყველა ადამიანი გებულობს, რომ უახლოესი მეგობრებიც კი ღალატობდნენ.

Soleil trompeur / Burnt by the sun
(მზით გათანგულები)
ნიკიტა მიხალკოვი, 1994, რუსეთი
ოცნება საყოველთაო თანასწორობის შესახებ სახიფათო აღმოჩნდა, მას უამრავი ადამიანი შეეწირა. ფილმი გადაღებულია ცნობილი რუსი რეჟისორის მიერ, რომლის მამაც საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტის ავტორია.

Lamerica
(ლამერიკა)
ჯორჯო ამელიო, 1993, იტალია
სიცოცხლისთვის საფრთხის ფასად ალბანელები ნავებით ცდილობენ ყურის გადაცურვას და იტალიაში მოხვედრას.
ფილმის ეკრანზე გამოსვლამ დიდი აურზაური გამოიწვია. „ლამერიკის“ შესახებ ოცნება შვიდი წლის შემდეგაც იზიდავს ადამიანებს, რომლებიც მის გამო ყველაფერს გაწირავენ.

Chat noir chat blanc / Black cat white cat
(შავი კატა, თეთრი კატა)
ემირ კუსტურიცა, 1994, იუგოსლავია
თუკი მთელი სამყარო გაგიჟდა, ასეთ სამყაროში ცხოვრების ერთადერთი საშუალებაა, უყურო მას გიჟის თვალებით. ხომ ასეა?

ადამიანის უფლებათა დარღვევები

Berlin in Berlin
(ბერლინი ბერლინში)
ზონან შეტინი, 1994, გერმანია
ეს არის შესანიშნავი მეტაფორა დასავლეთ ევროპაში იმიგრანტთა უფლებების დარღვევის შესახებ. ახალგაზრდა გერმანელი აღმოჩნდება თურქების ოჯახში ბერლინში.

Al Massir / Le Destin
(ბედისწერა)
იუსეფ შაჰინი, 1997, ეგვიპტე
ეს არის შემწყნარებლობის ჰიმნი. გვახსენებს ხანმოკლე პერიოდს ევროპის ისტორიაში, როდესაც ევროპაში ინკვიზიციის ბობოქრობის ფონზე ანდალუზიური სამეფო გრენადა ჰუმანიზმის ნიმუშს წარმოადგენდა. ფილმში მშვიდობა უპირისპირდება ფანატიზმს.

იმ ადამიანთა უფლებები, ვინც სხვებისაგან განსხვავდება

Le silence
(სიჩუმე)
მოსჰენ მაკმალჰაფი, 1996, ირანი
ადამიანის უფლებები ინვალიდებსაც აქვთ. ეს არის შთამბეჭდავი ფილმი ყრუ-მუნჯ ბავშვზე, რომელიც ბაზრის მოვაჭრეებისთვის ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას აცოცხლებს.

Tragédie burlesque
(ტრაგიკომედია)
გორან მარკოვიჩი, 1999, იუგოსლავია
ბელგრადის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორი აღარ ეგუება პაციენტთა მოსავლელად სახსრების უკმარისობას და უშვებს მათ საავადმყოფოდან. გარეთ მოხვედრილი პაციენტები ქუჩაში დემონსტრაციას მართავენ.
ეს არის ფილმი, რომელშიც ყველაზე „გიჟები“ ალბათ ყველაზე „ნორმალურები“ არიან.

ახალი კავშირების ძიება

Bon retour au pays camarades
(შინ მშვიდობით დაბრუნდით, ამხანაგებო!)
ლაფტერის სინტროტი, 1993, უნგრეთი/საბერძნეთი
საბჭოური სისტემის დაშლის შემდეგ ბერძენ კომუნისტებს, რომლებმაც უნგრეთს შეაფარეს თავი, აძევებენ ქვეყნიდან. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ერთად დარჩნენ და შეინარჩუნონ საკუთარი ჯგუფი.

Dans ce pays-là
(იმ ქვეყანაში)
ლიდია ბობროვა, 1998, რუსეთი
ფილმი გადაღებულია ქალის მიერ, რომელსაც ჯერ კიდევ სწამს მომავლის. ფილმი მოგვითხრობს პატარა სოფელზე ციმბირში. მცირე ბიზნესსა და დიდ უბედურებებში, არყის ბოთლსა და სოციალიზმის ნამსხვრევებში მოყოლილი სოფელი ყველანაირად ცდილობს გადარჩენას.

Drôle de Félix
(უცნაური ფელიქსი)
ოლივიე დიუკასტელი და ჟაკ მარტინო, 1999, საფრანგეთი
არატრადიციული ორიენტაციის ახალგაზრდა კაცი, ფელიქსი, ეძებს მამას და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თავისი მოგზაურობისას ხვდება სხვადასხვა ადამიანს. ეს ადამიანები მისი ახალი ოჯახი ხდებიან.

წყარო: ჟან-ფილიპ რესტუიოს კინოკრიტიკა.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

10 მუშაობა ადამიანის უფლებების სფეროში

საეარჯიშოები

ქვემოთ ჩამოთვლილია პროექტები ადამიანის უფლებების სფეროში. პროექტების ჩამონათვალი შედგენილია მთელი ევროპის მასშტაბით ახალგაზრდების მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით. ეს ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ვიდეოფილმში *"Stand up NOW for Human Rights"* (დავირაზმოთ ადამიანის უფლებების დასაცავად) (☞ ე):

- ნებაყოფლობითი მუშაობა საზოგადოებრივ ან ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციაში;
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა, რომელთა მიზანია თანხების შეგროვება, ცოდნის დამკვიდრება, დაჩაგრულებთან სოლიდარობის დემონსტრირება და პოლიტიკოსთა მოწოდება მოქმედებისაკენ;
- ამგვარ ღონისძიებებზე გამომსვლელ მუსიკალურ ჯგუფებში მონაწილეობა;
- საჯარო დემონსტრაციებში მონაწილეობა ან მათი ორგანიზება;
- სტატიების დაწერა და ჟურნალის გამოცემა;
- ინვალიდ ახალგაზრდებთან ერთობლივი პროექტის წამოწყება;
- სამხატვრო გამოფენებისთვის ნამუშევრების შექმნა;
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გავრცელება;
- გამოცდილების გაზიარება;
- სემინარებსა და კონფერენციებზე დასწრება ახალი უნარ-ჩვევების შესაძენად და ადამიანებთან შესახვედრად;
- პოლიტიკოსებისთვის წერილების წერა და მათზე გავლენის მოხდენა;
- გამოფენების მოწყობა;
- პლაკატების მომზადება;
- პრესისთვის ინტერვიუების მიცემა;
- რადიოპროგრამების მომზადება, ორგანიზება და მათში მონაწილეობა;
- საზოგადოებასთან კავშირების დამყარება მოხუცებულების მონახულებისა და მათთვის დახმარების გაწევის მეშვეობით;
- დახმარების ჯგუფის ჩამოყალიბება ჩამორჩენილ მოსწავლეებთან სამუშაოდ;
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- პროექტის შესახებ ვიდეოფილმის შექმნა;
- პროექტთან დაკავშირებით ანგარიშების წარმოება;
- რეგიონულ და ეროვნულ ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობა;
- ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის კონფერენციებისა და არჩევნების ორგანიზება;
- საჯარო გამოსვლები;
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებში არჩევით თანამდებობებზე საკუთარი კანდიდატურების წამოყენება;
- თანხების შეგროვება.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების შესაძლო ვარიანტები

ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია მოქმედება — თუნდაც მცირედი.

ძალზე მნიშვნელოვანია რეალისტური მიზნის დასახვა, რადგან თუ ადამიანი ზედმეტს იტვირთავს, მან შეიძლება ვერ მოახერხოს დასახულის მიღწევა, შეიძლება იმედი გაუცრუვდეს და ფარ-ხმალი დაყაროს. ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებში მონაწილეობა ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემით გამსჭვალულ გარემოში ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და თვისებების გამომუშავებას (☞ 8).

თქვენი აზრი!

ჩვენ გვსურს მივიღოთ თქვენი გამოხმაურება ამ პუბლიკაციის შესახებ, გამოგვიგზავნეთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები შემდეგ მისამართზე:

INFOPOINT
(ECHR – Starting Points for Teachers)
Council of Europe
F-67075 Strasbourg Cedex
ფაქსი: +33 (0)3 88 41 27 45
ელ.ფოსტა: infopoint@coe.int

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

10 მუშაობა ადამიანის უფლებების სფეროში

ადამიანის უფლებების სფეროში სხვაგვარი მუშაობის მაგალითები

- ✔ ისწავლეთ თავად და სხვებსაც (ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნაცნობებს) მიაწოდეთ ინფორმაცია ადამიანის უფლებების სფეროში.
- ✔ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოკრიფეთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცნობები.
- ✔ გაიუმჯობესეთ ადამიანებთან ურთიერთობისა და საუბრის უნარ-ჩვევები, ნუ შეგეშინდებათ საჯაროდ გამოსვლის; ყველა საიდანღაც იწყებს, პრაქტიკა კი ძალზე სასარგებლოა!
- ✔ შეუერთდით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდულ სამუშაო ჯგუფს თქვენს სკოლაში ან სასწავლებელში; თუ ასეთი ჯგუფი თქვენს სასწავლებელში არ არის, ჩამოაყალიბეთ იგი.
- ✔ სკოლაში ან სასწავლებელში ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო კლუბი თქვენს რაიონში ან ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და მოიწვიეთ სტუმრები ადგილობრივი ხელისუფლებიდან, რელიგიური ჯგუფებიდან, საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.
- ✔ დაწერეთ წერილები თქვენი სკოლის/სასწავლებლის ჟურნალისათვის.
- ✔ გახსენით ინტერნეტგვერდი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ✔ თქვენს სკოლაში/სასწავლებელში ან ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, ანდა ნებისმიერ ადგილას, სადაც კი მოახერხებთ — სკოლის სასადილოში, ქალაქის მერიაში, ადგილობრივი საბჭოს შენობაში თუ თეატრებში — მოაწყვეთ გამოფენები.
- ✔ მოაწყვეთ ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის ან გლობალური პრობლემებისთვის თანხების შესაგროვებელი ღონისძიებები; ამ ღონისძიებებმა შეიძლება მოგიტანოთ არა მარტო ფული — შეგიძლიათ მიიღოთ სხვა სახის შემოწირულობებიც; გარდა ამისა, ამგვარი ღონისძიებების შედეგად ხდება საზოგადოების ინფორმირება და თავად ორგანიზატორებიც სასარგებლო უნარ-ჩვევებს იძენენ.
- ✔ შეეცადეთ, თქვენი მუშაობა საჯაროდ გაშუქდეს ადგილობრივი რადიოს, გაზეთებისა და ტელევიზიის მეშვეობით — ეს დაგეხმარებათ ახალი წევრების მოზიდვაში.
- ✔ აუცილებლად აღრიცხეთ თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაო, საგანგებო ღონისძიებებზე ფოტოები გადაიღეთ, ამოჭერით პრესიდან და შეინახეთ თქვენი საქმიანობისადმი მიძღვნილი სტატიები ან სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები; მთელი ეს მასალა შეიძლება გამოგადგეთ გამოფენის მოსაწყობად, გამოფენა კი მოგცემთ თქვენი მუშაობის გაფართოების შესაძლებლობას.

✔ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღონისძიებების მოსაწყობად ქვემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო დღეები შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაიხსენეთ, ასევე, საგანგებო თარიღები თქვენი ქვეყნის ისტორიიდან, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დამკვიდრებასა და ტოტალიტარიზმთან ბრძოლასთან. შეგიძლიათ ღონისძიებები მიუსადაგოთ იმ ადამიანთა დაბადების დღეებსაც, რომლებსაც საგანგებო წვლილი მიუძღვით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მუშაობაში.

8 მარტი: ქალთა საერთაშორისო დღე
21 მარტი: რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, შარპევილის დარბევის (სამხრეთ აფრიკა, 1960) წლისთავი
5 მაისი: ევროპის დღე, ევროპის საბჭოს დაარსების წლისთავი
28 მაისი: ხსოვნის დღე, „ემნესთი ინთერნეშნელის“ დაარსების წლისთავი
4 ივნისი: უმანკო მსხვერპლი ბაშვების ხსოვნის საერთაშორისო დღე
3 სექტემბერი: ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის თაობაზე კონვენციის ხელმოწერის დღე
24 ოქტომბერი: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე
4 ნოემბერი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერის დღე
9 ნოემბერი: ფაშიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე
10 დეკემბერი: ადამიანის უფლებების დღე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამოცხადების დღე

წარმატებას გისურვებთ ყველა წამოწყებაში!

წყარო: ვიდეოკომპლექტი „დავირაზმოთ ადამიანის უფლებების დასაცავად“
(*Stand up NOW for Human Rights*) (ე).

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

წინასიტყვაობა

3

ინფორმაცია

„ადამიანის უფლებები შენი და ჩემი უფლებებია“ - ეს არის ერთ-ერთი ლოზუნგი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდნის დამკვიდრებას. იმისათვის, რომ ლოზუნგი რეალობად იქცეს, საჭიროა მუდმივი მუშაობა, დაუძინებელი ყურადღება და ყველა ადამიანის მიერ იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები. ამ საკითხში არსებითი როლის შესრულება შეუძლიათ მასწავლებლებს, რომლებიც, მოზარდებთან ურთიერთობის წყალობით, ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას.

ეს გამოცემა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 50-ე წლისთავს ეძღვნება, ემთხვევა, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული „ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ათწლეულის“ შუა პერიოდს. სასწავლო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას, ადამიანის უფლებები ნებისმიერი საგნის გაკვეთილზე ისწავლებოდეს — დაწყებული საზოგადოებათმცოდნეობით, დამთავრებული ისტორიითა და მათემატიკით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიკური მომზადებით. ამ გამოცემის მიზანია, დაისახოს ამოსავალი წერტილები აღნიშნულ შესაძლებლობათა გამოყენებისთვის.

ამ სასწავლო მასალაში (ა-ე გვერდებზე) მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

- ამ გამოცემის გამოყენებას და ევროპის საბჭოს შესახებ უმთავრეს მონაცემებს;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მიმოხილვას;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედებას;
- ადამიანის უფლებების სფეროში ევროპის საბჭოს მოღვაწეობის სხვა ძირითად ასპექტებს;
- სამომავლო ღონისძიებებთან დაკავშირებულ რჩევებს.

განათლება ადამიანის უფლებების სფეროში

არ არის აუცილებელი, ადამიანი იურისტი იყოს, რომ იმუშაოს ჩვენს მიერ განსახილველ თემებზე; ადამიანის უფლებები ყველა ადამიანს ეკუთვნის. დიდი ხნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადამიანის უფლებების სფეროში განათლების საქმის ნაყოფიერად წარმართვისათვის საჭიროა სამმხრივი მიდგომა:

1) მიდგომა, რომელიც ემყარება ცოდნას (ადამიანის უფლებების შესახებ)

საჭიროა უფლებათა ტიპების, უფლებათა ისტორიის, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა და დემოკრატიის მოქმედების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ცოდნის დამკვიდრება.

2) მიდგომა, რომელიც ემყარება უნარ-ჩვევებს (ადამიანის უფლებებისთვის)

პირადი და სოციალური უნარ-ჩვევები: საკუთარი თავის შეცნობა და საკუთარი თავის ანალიზი; სხვა ადამიანების მიმართ საკუთარი მოტივების შეფასება და გაცნობიერება; საკუთარი წინასწარ ჩამოყალიბებული სტერეოტიპების გაცნობიერება.
ინტერაქტიული უნარ-ჩვევები: მოსმენის უნარი, ადამიანთა ჯგუფის მხრიდან ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი; საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოთქმის უნარი.
პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები: ინფორმაციის დახარისხება; გადაწყვეტილებათა მიღება; საკუთარი გადაწყვეტილებების ხორცშესხმა; კონფლიქტების მოგვარება.

3) მიდგომა, რომელიც ემყარება გარემოს (ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ან მათი მეშვეობით)

ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც სწავლებისა და სწავლის პროცესის (გარემოს) სტრუქტურები, მეთოდები და ურთიერთობები ასახავს ადამიანის უფლებათა ფასეულობებს და მათთან დაკავშირებული სწავლების მიზნებს: „სასკოლო პოლიტიკის“ შემუშავებას, აგრეთვე, იმგვარი დემოკრატიული სასწავლო მეთოდების დამკვიდრებას, რომლებიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთპატივისცემას ასახავს. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი მიდგომა თქვენთვისაც და თქვენი სკოლის მოსწავლეებისთვისაც საინტერესო და საჭირო გამოდგება.

სამუშაო ფურცლების (1-10) მომზადებისას შევეცადეთ, ადამიანის უფლებები დაგვეკავშირებინა სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებისა და გამოცდილებისთვის. კავშირები სამუშაო ფურცლებს შორის გამოსახულია ნიშნით:

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

იმ მასწავლებლებს, რომლებიც მიზანშეწონილად ჩათვლიან, უფრო ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს ევროპის საბჭოს მოღვაწეობა, შეუძლიათ იხელმძღვანელონ სპეციალური უფასო გამოცემით, რომელსაც ეწოდება „ევროპა იმაზე მეტია, რაც თქვენ გგონიათ“ (დამატებითი ინფორმაციისთვის ე). ქვემოთ მოყვანილია მოკლე ცნობები:

1949 წელს დაარსებული ევროპის საბჭო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს:

- მის წევრებს შორის ერთობის განმტკიცებას;
- ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვასა და ხელშეწყობას;
- ევროპის კულტურული ინდივიდუალობისა და მრავალფეროვნების გაცნობიერებისა და განვითარების ხელშეწყობას;
- ევროპული საზოგადოების წინაშე წამოჭრილი პრობლემების (ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, ადამიანის კლონირება, შიდს-ი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და ა.შ.) მოგვარების გზების ძიებას;
- ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის დამკვიდრების ხელშეწყობას პოლიტიკური, საკანონმდებლო და კონსტიტუციური რეფორმების გზით.

ამ სახელმძღვანელოს მომზადების დროისათვის ევროპის საბჭოში შედიოდა 45 წევრი სახელმწიფო დაახლოებით 800 მილიონი მოსახლეობით.

საბჭოში დამოუკიდებლად არიან წარმოდგენილი სახელმწიფოთა მთავრობები, პარლამენტები და ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები.
ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა მინისტრთა კომიტეტი, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან (ან სტრასბურგში მყოფი მათი მუდმივი წარმომადგენლებისგან).
საპარლამენტო ასამბლეა სათათბირო ორგანოა, რომლის წევრებსაც ეროვნული პარლამენტები ნიშნავენ.
ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას წარმოადგენს.
გარდა ამისა, ევროპის საბჭო აწარმოებს დიალოგს 400-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებსაც მან საკონსულტაციო სტატუსი მიანიჭა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს, თუ როგორ არის ევროპის საბჭო დაკავშირებული ევროპაში მცხოვრებ 800 მილიონ ადამიანთან:



ევროპის საბჭო. სტრასბურგი

ევროპის დროშა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები (2005 წლის ნომბრისათვის):

ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთი, სან მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ხორვატია.

გაწევრიანების კანდიდატი: ბელორუსია.

დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოები: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, კანადა, მექსიკა და ვატიკანი.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

ინფორმაცია

მოკლე ცნობები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ

ადამიანის უფლებების საფუძველი — თითოეული ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების პატივისცემა — მსოფლიოს უდიდეს რელიგიათა და ფილოსოფიურ მოძღვრებათა უმეტესობაში მოიძებნება. ადამიანის უფლებები არ არის ისეთი რამ, რასაც შეიძენ, დაიმსახურებ ან მემკვიდრეობით მიიღებ — მათ „ხელშეუხებელს“ უწოდებენ, ვინაიდან არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, წაართვას ისინი რაიმე მიზეზით მეორე ადამიანს. ეს ნიშნავს, რომ ისინი საერთოა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად რასის, ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონების, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეულ ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხში. ეს უფლებები აკონტროლებს და არეგულირებს ადამიანების მიმართ სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებას, კერძო პირებს თავისუფლებას ანიჭებს სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში და სახელმწიფოებისგან მათ იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას მოითხოვს. ყველაზე კარგად ეს უფლებები ასახულია საერთაშორისო ტექსტებში (ანუ დოკუმენტებში), რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფოებმა შეთანხმებას მიაღწიეს და რომლებშიც ჩამოყალიბებულია სტანდარტები ადამიანის უფლებების თვალსაზრისით. ამ დოკუმენტთაგან ყველაზე ცნობილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ - ეს არის პრინციპების თაობაზე განცხადება, რომელიც დღესაც უდიდეს გავლენას ახდენს მთელს მსოფლიოზე. მიუხედავად იმისა, რომ თავად დეკლარაცია არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტი, ბევრი იურისტი მოიშველიებს არგუმენტებს იმის სასარგებლოდ, რომ საერთაშორისო წესისა და პრაქტიკის მეშვეობით იგი იურიდიული თვალსაზრისით სავალდებულო გახდა, ვინაიდან მრავალი ქვეყნის კონსტიტუციასა და სამართლებრივ პრაქტიკაშია გამოყენებული.

ადამიანთა უმეტესობისთვის ევროპის საბჭო ასოცირდება ადამიანის უფლებებთან.

ხელმძღვანელობდა რა საყოველთაო დეკლარაციით, ევროპის საბჭომ შექმნა კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის თაობაზე (შემდგომში მოვიხსენიებთ მოკლე სახელწოდებით — „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“). კონვენციის ტექსტისთვის შეეძლო ხელი მოეწერა მაშინდელ (1950 წ.) წევრ 15 სახელმწიფოს. კონვენცია სამი ძირითადი მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი:

- კონვენციის ხელისმომწერი სახელმწიფოების — ანუ, საერთაშორისო-სამართლებრივი ენით, „შეთანხმების დამდები სახელმწიფოების“ — მიერ გარანტირებული იყო თითოეული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
- ეს იყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც განისაზღვრა ამ უფლებათა დაცვის კონკრეტული მექანიზმი;
- პარლამენტებს და სასამართლო ორგანოებს გაუჩნდათ მყარი საფუძველი ადამიანის უფლებების სფეროში კანონების მიღებისა და ინტერპრეტაციისათვის.

უკანასკნელ წლებში, ევროპის საბჭოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიული ქვეყნების შესვლის შემდეგ, ბოლო პუნქტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმები უზრუნველყოფს:

შემდეგ უფლებებს:

- ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას;
- სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას;
- ხმის მიცემისა და არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლებას;
- შეხედულების, სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლებას;
- საკუთარი თავის გამოხატვის თავისუფლებას (საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლების ჩათვლით);
- საკუთრების ფლობის ან საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებას;
- თავშეყრისა და გაერთიანებების შექმნის თავისუფლებას.

აკრძალულია:

- წამება და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი;
- სიკვდილით დასჯა, მონობა და მონური შრომა;
- დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას;
- სახელმწიფოდან მისი მოქალაქეების გასახლება ან შემოსვლის უფლებაზე უარის თქმა;
- უცხოელების კოლექტიური გასახლება.

როგორც ცალკეულ პირებს, ისე სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (გ).

რამდენიმე სიტყვა ტერმინოლოგიის თაობაზე

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს და როგორ მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, აუცილებელია, გავეცნოთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ძირითად ცნებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლის ხელმოწერაც ევროპის საბჭოს წევრ ყველა სახელმწიფოს შეუძლია. საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერა ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მეთაურს (ან რომელიმე მის წარმომადგენელს) სჯერა შეთანხმების შინაარსისა. მაგრამ იურიდიულად სავალდებულო სახელმწიფოსათვის ეს შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც მოხდება მისი რატიფიცირება — ჩვეულებრივ, სახელმწიფოს პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს შეთანხმების ხელმოწერა, შემდეგ კი მიიღოს ქვეყნის პრაქტიკაში მის დასანერგავად აუცილებელი ზომები. სანამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები ამოქმედდებოდა, საჭირო იყო, რომ კონვენციაზე ხელი მოეწერა და მისი რატიფიცირება მოეხდინა, სულ მცირე, ათ სახელმწიფოს. 1950 წლიდან მოყოლებული, ცვალებადი ვითარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, კონვენცია თორმეტჯერ შესწორდა და განივრცო ეგრეთ წოდებული „პროტოკოლებით“ (საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინია) ანუ ოქმებით.

იმისათვის, რომ ოქმი ძალაში შევიდეს, მას ხელი უნდა მოაწეროს და რატიფიცირება მოახდინოს წევრ სახელმწიფოთა განსაზღვრულმა მინიმალურმა რაოდენობამ. ასეთი ვითარებაა No.12 ოქმთან (1) დაკავშირებით.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სამართლებრივი დოკუმენტია, ის იურიდიული ენით არის დაწერილი. ვითვალისწინებდით რა ამ სახელმძღვანელოს სასწავლო მიზნებს, გადავწყვიტეთ შერჩეული მუხლების (1) გამარტივებული ვარიანტების შემოთავაზება. ეს ვარიანტები დაეხმარება სკოლის მოსწავლეებს, უკეთ აღიქვან კონვენციაში განსაზღვრული ცნებები.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პრაქტიკაში

3

ინფორმაცია

ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა

უპირველეს ყოვლისა, სისტემა ეროვნულ დონეზე უნდა მოქმედებდეს. ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მის იურისდიქციაში მყოფ თითოეულ ცალკეულ ადამიანს შეეძლოს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა. ევროპის საბჭოს პრაქტიკულად ყველა წევრმა სახელმწიფომ შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობაში, რამაც საშუალება მისცა მათ მოქალაქეებს, ეროვნულ სასამართლოებში დაეყრდნონ კონვენციის ამა თუ იმ დებულებას, სასამართლოებს კი, თავის მხრივ, მოეთხოვებათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საპრეცედენტო სამართლის გამოყენება.

თუკი დაცვის ეს თავდაპირველი საშუალებები არ აღმოჩნდა საკმარისი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გარკვეული პირობების დაცვით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში. მომჩივანმა პირებმა უნდა დაადასტურონ, რომ ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ყველა ეფექტური საშუალება იმ ქვეყანაში, სადაც სავარაუდო დარღვევა მოხდა — ჩვეულებრივ, ეს ნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი არ მიიღო ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ.

გარდა ამისა, სახელმწიფოებსაც შეუძლიათ განაცხადების შეტანა სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, თუმცა ეს იშვიათად ხდება და, ჩვეულებრივ, ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებში ბრალდებებს ეხება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გარანტირებული უფლებებით სარგებლობის სამეთვალყურეოდ კონვენციის თავდაპირველი ვარიანტის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი ორგანო: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. სამუშაოს მოცულობის გამუდმებული ზრდის გამო 1993 წელს გადაწყდა, დაარსებულიყო ადამიანის უფლებათა ახალი ევროპული სასამართლო, რომელიც შეცვლიდა ძველ, ორიარუსიან სისტემას. 1994 წელს ხელმოსაწერად მომზადდა კონვენციის ოქმი No. 11, რომელიც ცვლის კონვენციის ტექსტს, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული რესტრუქტურიზაცია. ახალმა სასამართლომ, რომელიც სტრასბურგში დაფუძნდა ევროპის საბჭოს ფარგლებში, 1998 წლის 1 ნოემბერს დაიწყო მუშაობა.

ყველა იმ სახელმწიფომ, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, უნდა აღიაროს სასამართლოს გადაწყვეტილებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელსაც სტრასბურგში უდევს ბინა, საქმის ყველა ეტაპშია ჩართული — დაწყებული საჩივრის წინასწარი განხილვით და დამთავრებული გადაწყვეტილებათა მიღებით.

მოსამართლეები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან და მათი არჩევა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხდება.

სასამართლო იხილავს შემდეგი სახის საქმეებს

სულ უფრო მატულობს ინდივიდუალური საჩივრების რაოდენობა, ვინაიდან მეტმა ხალხმა გაიგო სასამართლოს არსებობა. ეს საჩივრები ეხება ძალზე ფართო სპექტრის საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად:

- ადამიანთა გაქრობა და უკანონო მკვლელობა;
- დაკავებულ პირთა წამება და მათ მიმართ ცუდად მოპყრობა;
- თავისუფლების თვითნებური აღკვეთა;
- სასამართლოსთვის მიმართვის შეუძლებლობა;
- საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი განხილვის შეუძლებლობა;
- სატელეფონო საუბრების მოსმენა;
- დეპორტაცია და ექსტრადიცია;
- ჰომოსექსუალების დისკრიმინაცია;
- პრესის თავისუფლება;
- აყვანილი ბავშვების მშობელთა უფლებები;
- საკუთრების უფლების ხელყოფა;
- პოლიტიკური პარტიების დაშლა.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

როგორ ხდება სასამართლოში საქმის განხილვა

უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად მისაღებია საჩივარი. ეს ტექნიკური ტერმინია, რომელიც ნიშნავს, რომ საქმე პირველ რიგში უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებაში განსაზღვრულ გარკვეულ მოთხოვნებს, როგორიც არის, მაგალითად, მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ თავდაპირველად ადამიანმა უნდა ამოწუროს მის ქვეყანაში არსებული ყველა ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება და საჩივარი მხოლოდ ქვეყანაში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებიდან ექვსი თვის განმავლობაში წარადგინოს. ხშირად სასამართლო ატარებს სხდომას, რომელზეც იხილება როგორც საკითხი იმის თაობაზე, ხვდება თუ არა საჩივარი კონვენციის ფარგლებში, აგრეთვე, საქმის არსი (ანუ მოხდა თუ არა კონვენციის დებულების დარღვევა). სასამართლოში საქმე შეიძლება განიხილოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ, ანდა, გამონაკლის შემთხვევაში, დიდმა პალატამ, რომელშიც 17 მოსამართლე შედის.

მას შემდეგ, რაც მიჩნეული იქნება, რომ საჩივარი ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, სასამართლო სთავაზობს მხარეებს (მომჩივანსა და სახელმწიფოს), პრობლემა „მეგობრულად“ მოაგვარონ. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს მოუწოდებენ, შეთანხმდნენ პრობლემის ერთობლივ მოგვარებაზე — ამგვარი შეთანხმების შედეგად სახელმწიფომ შეიძლება შეცვალოს კანონი ანდა გადაიხადოს კომპენსაცია საქმის გაწვევის სანაცვლოდ.

შესაძლებელია პალატის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დიდ პალატაში, მაგრამ, მას შემდეგ, რაც პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება — 3 თვის შემდეგ — იგი აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას. დიდი პალატის გადაწყვეტილებები მათი მიღებისთანავე საბოლოოა. შესაძლებელია გადაწყვეტილების სასამართლოში გამოცხადება ანდა მხარეებისთვის წერილობით შეტყობინება. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აღმოაჩენს დარღვევას, გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ დარღვევის ჩამდენ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მომავალში აღარ დაუშვას მსგავსი დარღვევა. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია მიიღოს „სამართლიანი გადაწყვეტილება“ ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგად დაზარალებულის მიმართ; ეს შეიძლება იყოს კომპენსაციის გადახდა იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის წინააღმდეგაც საქმე იყო აღძრული.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა მონიტორინგი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ამოცანაა. კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით გადასახდელი ნებისმიერი ფინანსური კომპენსაცია გადახდილი იქნეს მომჩივანისთვის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მიღებული იქნეს კონკრეტული ზომები სრული კომპენსაციის გადასახდელად. ამგვარი ზომაა, მაგალითად, საქმის ხელახლა განხილვა, აკრძალვის ან კონფისკაციის თაობაზე ბრძანების გაუქმება, პოლიციაში არსებული ჩანაწერების გაუქმება ან ცხოვრების უფლების მინიჭება. გარდა ამისა, კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოებმა გაატარონ ზოგადი ღონისძიებები მომავალში დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ასეთ ღონისძიებებს განეკუთვნება კანონმდებლობის, საპრეცედენტო სამართლის, სასამართლო პრაქტიკის ცვლილება, ახალი ციხეების მშენებლობა ან ახალი მოსამართლეების დანიშვნა.

იმ ღონისძიებათა მაგალითები, რომლებსაც სახელმწიფოები ატარებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე

ავსტრიამ შეცვალა თავისი კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებული პატიმრების მიმართ მოპყრობას, გარდა ამისა, ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები უცხოელებისთვის შესაძლებელი გახადა საგანგებო სოციალური ფონდებით სარგებლობა.

ბელგიამ ცვლილებები შეიტანა უსახლკარო პირებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში და გაატარა ღონისძიებები უკანონოდ დაბადებული ბავშვების წინააღმდეგ ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

ბულგარეთმა პროკურორებს ჩამოართვა უფლება, გაეცათ ბრძანება საქმის განხილვამდე ეჭვმიტანილთა წინასწარი პატიმრობის შესახებ.

დანიამ ცვლილებები შეიტანა კანონში წინასწარი პატიმრობის შესახებ.

ფინეთმა შეცვალა კანონი ბავშვების პატიმრობისა და მონახულების უფლების შესახებ.

საფრანგეთმა, ესპანეთმა და **გაერთიანებულმა სამეფომ** მიიღეს კანონები სატელეფონო საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით.

საბერძნეთმა ცვლილებები შეიტანა კანონში ადამიანთა წინასწარი პატიმრობის შესახებ.

იტალიამ ადვოკატებს დააკისრა საკასაციო სასამართლოში აუცილებლად დასწრების ვალდებულება.

ნიდერლანდებმა ცვლილებები შეიტანა სულიერად დაავადებულ პირთა პატიმრობის შესახებ კანონში.

პორტუგალიამ მოახდინა ადმინისტრაციულ სასამართლოთა სისტემის რეფორმირება და გაზარდა მოსამართლეთა რაოდენობა.

რუმინეთმა გააფართოვა პროკურორის იმ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან.

შვეციამ ცვლილებები შეიტანა სავალდებულო რელიგიური განათლების შესახებ კანონში.

შვეიცარიამ გადახედა სასამართლოთა სისტემას და სისხლის სამართლის პროცედურებს.

თურქეთმა შეამცირა პოლიციის პატიმრობაში ყოფნის მაქსიმალური პერიოდის ხანგრძლივობა.

გაერთიანებულმა სამეფომ აკრძალა სკოლებში ფიზიკური სასჯელი.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „შთამომავლები“

ინფორმაცია

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გაფართოება

ემყარებოდა რა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გარანტირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის საფუძველს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ევროპის საბჭომ შეიმუშავა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის ხელშეწყობისა და წამების თავიდან აცილების კომპლექსური მექანიზმები.
ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და სქესთა თანასწორობის დამკვიდრებისკენ მიმართული მუშაობის სფეროში ინიციატივებთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ ჯანსაღი „შთამომავლები“ წარმოშვა.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია (1961), მისი დამატებითი ოქმი (1988) და შესწორებული ქარტია (1996) უზრუნველყოფს რიგ ძირითად სოციალურ უფლებებს.

ეს უფლებები გულისხმობს დისკრიმინაციის გარეშე მოპყრობას სამუშაო ადგილებზე, ძალდატანებითი შრომის აკრძალვას, პროფესიული კავშირების უფლებებს, ვაჭრობის სფეროში კოლექტიური მოქმედების უფლებას, ქალებისა და მამაკაცების უფლებას, ერთნაირი სამუშაოს შესრულებაში თანაბარი ანაზღაურება მიიღონ, სოციალური დაცვის უფლებას და განათლების უფლებას. ახალი უფლებები გულისხმობს, აგრეთვე, სიღარიბისგან და სოციალური გარიყვისგან დაცვას, ადამიანის უფლებას ნორმალურ საცხოვრებელ პირობებზე და დაცვაზე სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში.

1988 წელს ამოქმედდა ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტიური საჩივრების სისტემას და მშრომელთა, დამსაქმებელთა გარკვეულ ორგანიზაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას, სოციალური ქარტიის შესაბამისად შეიტანონ საჩივრები სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში.

იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც მოახდინეს ქარტიის ან შესწორებული ქარტიის რატიფიცირება (დღეისათვის 38 სახელმწიფო), რეგულარულად უნდა წარადგინონ ანგარიშები იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებენ მას. ანგარიშებს შეისწავლის სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი, რომელშიც შედიან დამოუკიდებელი ექსპერტები. ეს ექსპერტები აფასებენ, სრულდება თუ არა ქარტიის დებულებები.

წამების საწინააღმდეგო ევროპული კონვენცია

ცოტა რამ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რა ხდება ციხეების, პოლიციის უბნების, ფსიქიატრიული და სხვა მსგავსი დაწესებულებების დახურულ კარებს მიღმა. სწორედ ამიტომ იქნა 1987 წელს მიღებული წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია. კონვენცია 1989 წელს ამოქმედდა.

ეს კონვენცია განავრცობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ დაცვის მექანიზმებს, კერძოდ, მის საფუძველზე დაარსებულია წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, რომელშიც შედიან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები ბევრი განსხვავებული სფეროდან, მათ შორის, სამართლის, მედიცინის, პენიტენციალური და პოლიტიკის სფეროებიდან.

კომიტეტი ამოწმებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, რათა ნახოს, თუ როგორ ეპყრობიან დაკავებულ პირებს. მას შეუზღუდავად შეუძლია თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ადგილის მონახულება და იქ მოთავსებულ პირებთან ცალკე გასაუბრება. გარდა ამისა, კომიტეტს თავისუფლად შეუძლია, გაესაუბროს ნებისმიერ ისეთ ადამიანს, ვისაც საჭირო ინფორმაციის მიწოდება შეუძლია, მათ შორის, ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ყოველი ვიზიტის შემდეგ კომიტეტი წერს ანგარიშს შესაბამისი სახელმწიფოსთვის და აძლევს რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს დაკავებული პირების სათანადო დაცვა წამებისა და ცუდად მოპყრობისაგან. ამის შემდეგ მთავრობებს მოეთხოვებათ ანგარიშთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს თანამშრომლობაზე ან წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციათა შესრულებაზე, კომიტეტმა შეიძლება საჯარო განცხადება გააკეთოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „შთამომავლები“

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია

ეს არის მრავალ სახელმწიფოს შორის გაფორმებული პირველი იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი, რომლის მიზანია ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა დაცვა. კონვენცია მისი ხელისმომწერი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობებისა და პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება. კონვენციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს პატივისცემით უნდა მოეკიდოს ყველა სახელმწიფო, რომელმაც მისი რატიფიცირება მოახდინა. ეს პრინციპებია თანასწორობა კანონის წინაშე, საგანგებო ზომების მიღება სხვადასხვა კულტურის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად, ეროვნული თავისებურებების, რელიგიების, უმცირესობათა ენებისა და ტრადიციების დასაცავად, საინფორმაციო საშუალებათა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ ადამიანებთან საზღვრებს მიღმა თავისუფალი და მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად.

კონვენციაში განსაზღვრულია მისი განხორციელების მექანიზმი, რომელიც მინისტრთა კომიტეტს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეაფასოს, როგორ ხდება კონვენციის შესრულება (მინისტრთა კომიტეტს ამ საქმეში დახმარებას უწევს დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი საკონსულტაციო კომიტეტი).

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია 1993 წელს დაარსდა ევროპის მასშტაბით რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და ამასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის ყველანაირ ფორმასთან საბრძოლველად.

კომისია აფასებს რასიზმის წინააღმდეგ მიმართული ყველა ეროვნული და საერთაშორისო ზომის ეფექტიანობას და ხელს უწყობს მუშაობას კანონმდებლობისა და პოლიტიკის სფეროში ადგილობრივ, ეროვნულ და საერთოევროპულ დონეებზე. რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპულმა კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციის „ევროპის წვლილი რასიზმის, რასობრივ საფუძველზე დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და ამასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მსოფლიო კონფერენციისთვის მომზადებაში“ ორგანიზებაში. ეს კონფერენცია 2000 წლის ოქტომბერში მოაწყო ევროპის საბჭომ.

კომისარი ადამიანის უფლებების დარგში

1999 წელს შემოღებული იქნა ახალი თანამდებობა - კომისარი ადამიანის უფლებების დარგში.
კომისარის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების სფეროში ცოდნისა და განათლების დამკვიდრებას და ამ უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას, აგრეთვე, ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტების, ანუ კონვენციებისა და რეკომენდაციების მიმართ სრული და ქმედითი პატივისცემის უზრუნველყოფას.
კომისარი დამხმარე და, ძირითადად, პრევენციულ როლს ასრულებს. მისი ფუნქციები განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციებისგან.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

უფლება, მეტი ვიცოდეთ!

ინფორმაცია

თუკი ამ დამხმარე სახელმძღვანელომ მეტი რამის გაგების სურვილი აღგიძრათ, შეგიძლიათ მოიძიოთ ევროპის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების გამოცემული უამრავი სხვა მასალა. ქვემოთ ჩამოვთვლით იმ გამოცემებს, რომლებმაც შეიძლება დაგაინტერესოთ. როდესაც კი ეს შესაძლებელია, მითითებულია სათაური, ავტორი, გამომცემელი, გამოცემის თარიღი და ISBN (ან უწყების ინდექსი).
უფასო გამოცემები აღნიშნულია ⩘ სიმბოლოთი. უნდა ითქვას, რომ ინტერნეტში სწრაფად იზრდება ადამიანის უფლებების სფეროში შესანიშნავი სასწავლო მასალის რაოდენობა.

ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებები

⩘ ***ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შესწორებული No.11 ოქმით)***
European Convention on Human Rights (as amanded by Protocol No. 11)
ევროპის საბჭო, 1998 წლის ნოემბერი + შემდგომი გამოცემები
ბუკლეტში მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ამჟამად მოქმედი ოქმების სრული ტექსტი. გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ყველა ოფიციალურ ენაზე.

„ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებები დღეს — ევროპული სამართლებრივი დოკუმენტები“
(Council of Europe, Human rights today – European legal texts)
ევროპის საბჭო, 1999
ISBN 92-871-3813-3 (ინგლისურ ენაზე)
ISBN 92-871-3812-5 (ფრანგულ ენაზე)
სამართლებრივი დოკუმენტების ამ კრებულში ყურადღება გამახვილებულია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპულ კონვენციაზე და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოკონვენციაზე. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია პროცედურის წესები და ცნობები შეთანხმებათა ხელმოწერისა და რატიფიცირების შესახებ.

⩘ ***„ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა“***
(The Council of Europe and the protection of human rights)
ევროპის საბჭო, 1999
32 გვერდიანი ილუსტრირებული ბროშურა, რომელშიც საუბარია ადამიანის უფლებების სფეროში ევროპის საბჭოს მიზნებსა და მოღვაწეობაზე.

⩘ ზოგადი ხასიათის ბუკლეტი: ***„ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები“***
(The Council of Europe and the protection of human rights)

ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები ინტერნეტში

http://www.coe.int/T/E/Human_rights
(ზოგადი გვერდი ადამიანის უფლებების სფეროში)

http://www.echr.coe.int
(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო)

http://www.cpt.coe.int
(წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი)

http://www.coe.int/ecri
(რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია)

http://conventions.coe.int
(შეთანხმებები და კონვენციები)

http://www.coe.int/youth
(განათლება ადამიანის უფლებების სფეროში — პროგრამა ახალგაზრდებისათვის)

http://www.coe.int
(ევროპის საბჭოს ძირითადი გვერდი)

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

უფლება, მეტი ვიცოდეთ!



ევროპის საბჭო: განათლება ადამიანის უფლებების სფეროში

„ადამიანის უფლებები — სახელმძღვანელო“
(Les droits de l'homme – dossier pédagogique)
ფრანსუა ოდიგიე და გი ლაჟელე, 2000
ISBN 92-8714044-8 (მხოლოდ ფრანგულ ენაზე)
სახელმძღვანელო მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის საშუალო სკოლაში ადამიანის უფლებების სფეროში სწავლებისათვის.
სახელმძღვანელოში მოცემულია ძირითადი ტექსტები და სასწავლო მეთოდები სამართლებრივი, ფილოსოფიური და პრაქტიკული საფუძვლის ჩასაყრელად.

„სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესასწავლად“ *(Teaching Guide to the European Convention on Human Rights)*
მსოფლიო ასოციაცია — სკოლა, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი (World Association for the School as an Instrument of Peace), 1997 DECS/BiH (97) 13 E Prov
http://www.erc.hrea.org/erc/Library/teachers/Teaching-ECHR.pdf
სახელმძღვანელო გამოშვებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პედაგოგიური საზოგადოებისთვის. მასში მოცემულია მრავალი საინტერესო მოსაზრება და წინადადება მასწავლებლებისათვის.

- ***ადამიანის უფლებების თემაზე ევროპის საბჭოს ღია ბარათების კოლექცია, 1997***
- ***ევროპის სოციალური ქარტია: ღია ბარათები ადამიანის უფლებების თემაზე, 1999***
  12-12 ღია ბარათისგან შემდგარი ორი კომპლექტი, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სოციალური ქარტიის ძირითად საკითხებს. ბარათებს თან ახლავს მითითებები სასწავლო პირობებში მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

- ***„დომინო“ (Domino) - სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მეთოდიკა რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებზე თანატოლთა ჯგუფებში მუშაობისათვის.***
  ევროპის ახალგაზრდული ცენტრი, 1995
  http://www.coe.int/ecri

- ***სასწავლო კომპლექტი „ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“ - იდეები, მეთოდები და რესურსები კულტურათაშორისი აღზრდის სფეროში***
  ევროპის ახალგაზრდული ცენტრი, 1995
  http://www.coe.int/ecri

- ***შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული კომიქსები***
  (Cartoon books against intolerance)
  მარკ ტეილორი, 1997
  http://www.coe.int/ecri
  ძირითადი იდეები და წინადადებები შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ თემებზე ახალგაზრდებთან სამუშაოდ.

- ***„დავირაზმოთ ადამიანის უფლებების დასაცავად!“***
  (Stand up NOW for human rights!)
  1995 (ვიდეოფილმი), 1997 (დამხმარე კომპლექტი)
  ვიდეოფილმი და დამხმარე კომპლექტი ადამიანის უფლებათა სფეროში ახალგაზრდული პროექტების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:

INFOPOINT
Council of Europe
F-67075 Strasbourg Cedex
ტელ.: +33 (0) 3 88 41 20 33
ფაქსი: +33 (0) 3 88 41 27 45
ელ. ფოსტა: infopoint@coe.int
ვებგვერდი: http://www.coe.int
ვებგვერდი: http://www.coe.int/T/E/Human_rights

დამატებითი სასწავლო მასალა ადამიანის უფლებების სფეროში

„პირველი ნაბიჯები“ (First Steps) - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში დაწყებითი სწავლებისათვის
„ამნესთი ინტერნეშნელ“, 1996.
(Amnesty International, 1996)
სახელმძღვანელო შედგენილია საგანგებოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პედაგოგებისა და აქტივისტებისათვის.
www.hrea.org/pubs/Primer/first_steps.html

„პასაჟები“ *(Passages)*
გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისია - UNCHR, 1995.
თამაში, რომელიც მიზნად ისახავს ლტოლვილთა პრობლემების უკეთეს გაცნობიერებას.

„საყოველთაო განათლება ადამიანის უფლებების სფეროში“
(Popular education for human rights)
რიჩარდ პიერ კლოდი
Human Rights Education Associates, 2000.
24 სავარჯიშო ინსტრუქტორებისა და პედაგოგებისათვის.
შეგიძლიათ მოიძიოთ მრავალ სხვა პუბლიკაციასთან ერთად "HREA"-ს ვებგვერდზე: http://www.hrea.org

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE